№ 2883
ოთხშაბათი,
10 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№
ოთხშაბათი,
10 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°მპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერნი, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ამ ფულის გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ტფილისის პირველი ვაჟთა პროგიმნაზია

(კუკია, ქიზნიას ქუჩ., სახ. ქამთუჯვისა).

მისაღები გამოცდა პროგიმნაზიის მოსამზადებელ და პირველ კლასებში მოხდება 25, 26 და 27 აგვისტოს. თხოვნები მიღების შესახებ დროებით უნდა შეტანილ იქნას ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში პროგიმნაზიის ინსპექტორის სახელობაზე. (2—6.—2)

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უთუოდ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—78)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პრემიის პირობები შემდეგია:

1. საპრემიოდ წარდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი;
2. პიესა უნდა შეიცავდეს სამ მოქმედებაზე არა ნაკლებს.
3. პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

4. პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა დანიშნულია არა უგვიანეს პირველ იანვრისა 1906 წ.
5. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.
6. დაჯილდოვებულის პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.
7. შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (5—უ.—5)

რადგანაც ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციას აზრათ აქვს სეზონის დაწყებამდის გამართოს გამოსაცდელი წარმოდგენა, რათა გააფართოვოს სცენის მოყვარულთა წრე, სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ მიიღონ მონაწილეობა, მობრძანდნენ ავჭალის აუდიტორიაში ხუთშაბათს, 11-ს აგვისტოს, საღამოს 5 საათზედ. (2—2)

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მთავრობა

ამით აცხადებს, რომ, თანახმად უმაღლეს სასულიერო მთავრობის განკარგულებისა, განმეორებითი და გადასასვლელი ეგზამენები ამ სასწავლებლის მოწაფეებისა დანიშნულია: 16—17 აგვისტოს—IV კლასისა, 18—III კლ., 19—20 II კლასისა, 22—23 I კლასისა, 24—მოსამზადებელ კლასებში. გამოცდა იქნება იმ პროგრამმით, რომელიც გავლილი ჰქონდათ მოწაფეებს 16 მარტამდის (სწავლის შეწყვეტამდის). მისაღები ეგზამენები დანიშნულია 25, 26, და 27 აგვისტოს, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (3—5.—2)

გალით რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.

ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . .	50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით	75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით	1 მ.

დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუზიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—14).

ქუთაისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებელი

აცხადებს:

1) შემდეგ კლასებში გადასასვლელი გამოცდა I—VI კლასების იმ მოწაფეებისთვის, რომელთაც გამოაცხადეს სურვილი აგვისტოში ეგზამენის დაჭერისა, დანიშნულია 22 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე.

2) მე-VII კლასის ყოფილ მოწაფეებისთვის, რომელთაც შემოიტანეს თხოვნა აგვისტოში ეგზამენის დაჭერის შესახებ, უკანასკნელი გამოცდა დანიშნულია 23 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

3) ხელმეორედ გამოცდა და ცოდნის შემოწმება (повѣрочныя испытанія) ყველა კლასების მოწაფეებისთვის დანიშნულია 6, 7 და 9 სექტემბერს.

4) მისაღები ეგზამენები დაბალ მოსამზადებელ კლასში და I კლასში, უკეთუ აღმოჩნდებიან მსურველნი სხვა კლასებშიაც, დანიშნულია 10, 12 და 13 სექტემბერს.

5) სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს დილის 8 საათზედ.

ეგზამენების სრული ცხრილი მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის კანცელარიაში 18 აგვისტოდან. (3—6.—2).

ქუთაისის სახელმწიფო საქალებო პროგიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ და და მეორე და ახლად გახსნილ III კლასებში მოხდება 24, 25 26 და 27 მარიობისთვეს. განმეორებითი ეგზამენები-კი დაიწყება 22 მარიობისთვიდან". (3—6.—2)

ხონის საქალებო კერძო პროგიმნაზიის უფროსი ელენე ლუკა ბახტაძის ასული ამით აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მან ერთის წლით (1905—6 წ.), სწავლა შეაჩერა. ამასთანვე აუწყებს, რადგან თითონ საზღვარ-გარედ მიემგზავრება, ყოველ ცნობების და დოკუმენტების მიღების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სერგეი ლუკას ძე ბახტაძეს 22—25 აგვისტომდე პროგიმნაზიის სადგომში. (3—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხეზე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
ვ. ა. ბედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (30—6.—18)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 აგვისტო

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. გაზეთების სიტყვით, რუზველტმა დიდი ხანია იცის, რომ შეუძლებელია ზავის ჩამოგდება, თუ იაპონიამ რამდენიმე მუხლის შესახებ არ დაუთმო. საკითხის გადაწყვეტა მიკადოზეა დამოკიდებული. ამითი აიხსნება კანეკოს ვიზიტი პრეზიდენტთან. როზენის ნახვის დროს რუზველტმა წინადადება მისცა მას დაუთმონ იაპონიას სახალინი [illegible] 50 წლის იჯარით.

ტოკიო, 7 აგვისტო. ამბობენ, იაპონიის ჯარები მანჯურიაში დიდ სიბეჯითეს იჩენენ. გამოირკვა, რომ ოიამას მიწერ-მოწერა აქვს კორეის ჯართან, განმტკიცდა საერთო აზრი ომის გაგრძელების შესახებ. გაზეთები დაჟინებით ამბობენ, რომ პორტ-სმუტის თათბირი დაუყოვნებლივ შეწყდებაო.

შანხაი, 7 აგვისტო. მოლაპარაკების შედეგის მოლოდინმა მთლად შეაჩერა ვაჭრობა და ბანკებისა და ბირჟის ოპერაციები ჩინეთის პორტებში.

ლონდონი, 8 აგვისტო. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება პორტ-სმუტიდან, პეტერბურგში საბოლოოდაა გარდაწყვეტილი, არ დაუთმონ შემდეგში იაპონიას.

პარიზი, 8 აგვისტო. ვიტტემ განუცხადა „მატენ"-ის კორესპონდენტს, როზენის რუზველტთან ყოფნას არავითარი ცვლილება არ შეუტანია საქმის ვითარებაშიო. ზავი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იაპონია უარს იტყვის სახალინის დათმობასა და კონტრიბუციაზე. ამ მუხლების შესახებ რუსეთი არაფერს დასთმობს.

ბერლინი, 8 აგვისტო. „ლოკალ ანცაიგერ"-ის ცნობით, რუზველტის ჩარევამ კეთილი გავლენა იქონია რუსის დელეგატებზე და ცუდი იაპონელებისაზე, ვინაიდან უკანასკნელნი არავითარ სარგებლობას არ მოელიან ნეიტრალურ სახელმწიფოების ჩარევიდან, იღებენ რა მხედველობაში იაპონია-ჩინეთის ომს. სატომ განაცხადა, რომ რუზველტის სურვილი საქმეში ჩარევისა იაპონელებმა მხოლოდ გაზეთებიდან გაიგეს. კორესპონდენტის აზრით, ამერიკაში მაინც მოელიან ზავის ჩამოგდებას.

ლონდონი, 8 აგვისტო. „დეილი-ნიუს"-მა ყველაზედ პირველად აღიმაღლა ხმა იაპონელების მოთხოვნების წინააღმდეგ. გაზეთის აზრით, იაპონიამ კარგად უნდა დაინახოს, თუ იგი განაგრძობს ომს კონტრიბუციის მიღებისა და რუსეთის საზღვაო ძალების განსაზღვრის გულისთვის, იმ შემთხვევაში ყოველს უფლებას დაჰკარგავს სთქვას, რომ ზომიერია და ამას გარდა ინგლისი და ამერიკა წინანდელის სიმპატიით აღარ მოეპყრობიან მასაო.

ესბიერგი, 7 აგვისტო. (დანია). შუადღეზე მოვიდა ბრიტანიის ესკადრა, ბალტიის ზღვისაკენ მიმავალი; ესკადრას შეადგენს 10 ჯავშნოსანი, 7 კრეისერი და ნაღმოსანი. ფიქრობენ, დღესასწაული გაუმართონ ესკადრას.

მიტავა, 8 აგვისტო. გუბერნიაში ომიანობის დროის წესები გამოცხადდა.

მოსკოვი. გარდაიცვალა ცნობილი ფელეტონისტი, ერთი გამომცემელთაგანი „რუსკი ვედომოსტი"-ებისა, ალექსანდრე პეტრეს ძე ლუკინი (სერიოზნი ნაბლიუდატელ).

ბერლინი. გერმანიის მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ ინგლისის ლამანშის ესკადრას ისე შეხვდებიან გერმანიაში, როგორც სტუმართმოყვარე და თან ძლიერ ერს შეეფერება. ამ განცხადებით, ეტყობა, განზრახვა აქვთ მოუწოდონ მეზობლებს, არ გაამწვავონ რამე ეტიკეტობით ისედაც გამწვავებული დამოკიდებულება ორს ერს შორის.

ოდესა, 8 აგვისტო. აღმოჩნდა ყალბ ხუთმანეთიანების ფაბრიკა. დაიჭირეს სამი კაცი, რომელნიც ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში ასაღებდნენ ყალბ ფულს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 აგვისტო

ბერლინი, 8 აგვისტო. რუზველტის კრებებს, რომელთაც მიზნად ზავის ჩამოგდება აქვთ, გულწრფელად უჭერს მხარს ინგლისი და გერმანია, ამასთან გერმანიის აზრითაც არა აქვს ურჩიოს რუსეთს, მიიღოს მძიმე ან დამამცირებელი პირობები ანა და დააჯეროს იაპონია რომელიმე მოთხოვნაზე უარის თქმას. მას მხოლოდ ის უნდა, რომ გაგრძელდეს ზავზე მოლაპარაკება. ინგლისსაც ამგვარი ადგილი უჭირავს.

ნიუ-იორკი. ამბობენ, რუზველტმა წინადადება მისცა როზენს, წარუდგინოს სამედიატორო სამართალს ის პუნქტები, რომელშიც ვერ შეთანხმდნენ იაპონია და რუსეთი.

პორტ-სმუტი, 8 აგვისტო. „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება, რუზველტმა სურვილი განაცხადა იკისროს მთავარი მედიატორობა. „ვორლდ"-ი დასძენს, რომ როზენს მხარს დაუჭერს ყველა ნეიტრალური სახელმწიფოებიო.—მარტენსი ამბობს, მდგომარეობა არ გამოცვლილა და არც გამოიცვლებაო. ის უკან დაბრუნებას მომავალ ორშაბათს აპირებს.

ლონდონი, 7 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ"-ი ამბობს, იაპონიის რწმუნებულებმა წინადადება მისცეს, დავუბრუნებთ

ბუციას გადაიხდისო. რუსებს ძლიერ აკვირვებს ეს.

მოსკოვი, 8 აგვისტო. 9 აგვისტოს მოხდება ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რათა მოისმინონ უმაღლესი მანიფესტი და თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ აქტის შესახებ. ხვალვე გახსნის ერობათა კრება.—ამ დღეებში მოვა ს. ტრუბეცკოი, რათა თავად-აზნაურთა კრება მოახდინოს უმაღლესის მანიფესტის მოსასმენად. რადგანაც საქალაქო არჩევნების ცენზი ისეთივეა, როგორიც [illegible] სახელმწიფო საბჭოსთვის, ამიტომ ქალაქის გამგეობამ უნდა შეადგინოს მხოლოდ ახალი ჯგუფი ამომრჩევლებისა ბინის ცენზის მიხედვით და შეიტანოს ამომრჩეველთა სიაში იმ ებრაელთა გვარები, რომელთაც საარჩევნო ქონებრივი ცენზი აქვთ.

სტამბოლი. ოსმალეთის ცენზურამ აუკრძალა გაზეთებს რუსეთის სახელმწიფო საბჭოზე წერა და დეპეშის მოთავსების ნებაც არ მისცა, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალები შენატრიან რუსებს, რომ უკანასკნელი მდგომარეობა ცოტათი მაინც შემსუბუქდა და ამით გაუსწრეს ოსმალეთს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იმპერატორების შეხვედრის შედეგი. პორტ-სმუტიდან „რუს"-ს ატყობინებენ: ვიტტემ უთხრა რწმუნებულს, თუ ომი გაგრძელდა, შეიძლება სხვა სახელმწიფოებმაც მონაწილეობა მიიღონ ომშიო. გაზ. „სონ"-ს დეპეშა მოუვიდა პეტერბურგიდან: რუსეთის ხელმწიფე ამ ჟამად ომის გაგრძელების მხარესაო. ამ აზრს ხელმწიფე გერმანიის იმპერატორთან შეხვედრის შემდეგ დაადგაო. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ ვიტტემ განგებ ახსენა სხვა სახელმწიფოები და აქ გერმანია უნდა იგულისხმებოდესო. („რ.").

უცხოეთის პრესის აზრი იაპონიის პირობებზე. „სლოვო"-ს დეპეშით ატყობინებენ პორტ-სმუტიდან: ბევრ ამერიკულ გაზეთს სრულიად სამართლიანად მიაჩნია იაპონიის პირობა. „სონ"-ი მოწინავე წერილში ამტკიცებს: სახალინი უწინ იაპონიას ეკუთვნოდა, რუსეთმა ძალით წაართვა და ეხლა იაპონიამ ისევ ძალით დაიბრუნა ეს კუნძული. სამხედრო საზღაურსაც სამართლიანად თხოულობს იაპონია, რადგან მეტად აუარებელი ხარჯი გასწია რუსეთის განსადევნად მანჯურიიდან და ამით მხოლოდ საერთაშორისო უფლება შეასრულა, რუსეთს ძალით დაპირება შეასრულებინა და მანჯურიიდან ჯარი გააყვანინაო. იაპონია ამ საქმეში ისე მოქმედებდა, როგორც ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს რწმუნებული, და ამიტომ სრულიად სამართლიანი იქნება, რომ რუსეთმა სამხედრო ხარჯი უზღასო.

„ტან"-ი სწერს: იაპონიის პირობის მუხლები სამს ჯგუფად გაიყოფა. პირველი ჯგუფის მოთხოვნილებანი შემდეგია: მანჯურიიდან ჯარის გაყვანა, რკინის გზის დათმობა პორტ-არტურიდან ხარბინამდე, კორეაზე იაპონიის პროტექტორატის დაწესება და ლიაოდუნის დათმობა. ყველა ეს მოთხოვნილება იაპონიის გამარჯვების ნაყოფია და უსათუოდ უნდა შეასრულოს რუსეთმა. რუსეთი ძალით განდევნეს მანჯურიიდან და ეხლა ფიქრადაც ველარ იფიქრებს მანჯურიაში ხელ-ახლა გაბატონებას. ასევე ითქმის ლიაოდუნსა და კორეაზეც.

მოთხოვნილების მეორე ჯგუფი უფრო ძნელი ასასრულებელია. ესაა—კონტრიბუციის გადახდა და სახალინის დათმობა. რუსეთმა გამოაცხადა, ამ ორ მოთხოვნილებას ვერას დროს ვერ შევასრულებო. მეორეს მხრით იაპონია ბეჯითად მოითხოვს იმათ შესრულებას. სიტყვა „კონტრიბუცია" არსად ნახსენები იაპონიის პირობებში, იქ უფრო ზრდილობიანი და რბილი სიტყვა—სამხედრო საზღაურია ჩაწერილი და რუსეთიც, ალბად, გადაიხდის ამ სამხედრო საზღაურს. სახალინის საქმე უფრო ძნელია, მაგრამ იაპონელები ამ საქმეში არაფერს არ დაუთმობენ რუსეთს.

მესამე ჯგუფის მოთხოვნილებას: ფლოტის შეზღუდვას შორეულ აღმოსავლეთში და იარაღ აყრილ გემების მიცემას,—რუსეთი არას დროს არ დასთანხმდება, მაგრამ შეიძლება, თითონ იაპონიამ დაუთმოს ამ ორ მუხლში. ერთის სიტყვით, ზავი ძვირად დაუჯდება რუსეთს, მაგრამ თავის ავანტიურისტულ პოლიტიკისა და უხეირო წესების საზღაური უნდა გადაიხადოს. („ნ. ჟ.").

მოლაპარაკება ზავზე. „ცაიტ"-ი სწერს: რუსის დიპლომატები არავითარ ანგარიშს არ უწევენ რუსეთის დამარცხებასა და ეხლანდელ მდგომარეობას ომის ასპარეზზე.

სწადიანთ, მაინც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ომი გაბედულად განაგრძონ ბოლომდე, თუ საჭირო იქნება; ამიტომ საკვირველი არ იქნება, თუ მოლაპარაკება შესწყდება და ომი ხელ-ახლად დაიწყება.

კლემანსო ჰკითხულობს „ორორ"-ში: რას მოიგებს რუსეთი იმის გაგრძელებით? ნუ თუ რუსეთის მმართველი წრეები სერიოზულად ფიქრობენ იაპონიის დამარცხებას. რუსის კონსერვატორები, ალბად, ფიქრობენ, რომ მთავრობა გაძლიერდება, თუ სამხედრო სახელს აღადგენსო. რუსეთის მმართველი წრეებიც სწორედ ამიტომ არ უთმობენ იაპონელებს. („ნ. ჟ.").

„ნ. ფრ. პრესე" შენიშნავს: საყურადღებოა, რომ რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ დღემდე ხმა არ ამოუღიათ დროებით შერიგებაზე. მანჯურიაში ორივე არმია მზადაა საბრძოლველად და ყოველ წამსა და ყოველ საათს, შეიძლება, ცნობა მოვიდეს დიდ ბრძოლაზე; ეს ბრძოლა კი სრულიად შესცვლის მოლაპარაკების ნიადაგს. ყველაზე საკვირველი ეხლანდელ საზავო მოლაპარაკებაში ისაა, რომ ვიტტე თავის ნათქვამს ლინევიჩის ზარბაზნებით ასაბუთებს და კომურა ოიამას ზარბაზნებით. აქამდე მთელის საუკუნის განმავლობაში მუდამ ჯერ დროებით შერიგებას ახდენდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ჰმართავდნენ ზავზე მოლაპარაკებას. ბოლოს გაზეთი მაინც იმედს გამოსთქვამს, რომ პორტ-სმუტში ზავი იქნება შეკრულიო. („ნ. ჟ.").

იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულნი პორტ-სმუტში. „სლოვო" ადარებს რუსისა და იაპონელ დიპლომატების მოქმედებას პორტ-სმუტში და ამტკიცებს, რომ იაპონელი დიპლომატები ყველაფერში სჯობნიან რუსის დიპლომატებსაო. გაზეთი სწერს: დაიწყო თუ არა მოლაპარაკება, პირველსავე დღეს, რწმუნებულთა გაცნობის დროს, იაპონელმა დიპლომატებმა მეტად დიდი მოხერხება გამოიჩინეს და ერთბაშად უპირატესობა მოიპოვეს: რუსეთის უმთავრეს ლეგატს ვიტტეს რწმუნება გაუსინჯეს და თავიანთ რწმუნება-კი არ უჩვენეს. ამისთანა შეცდომას დიპლომატები ვერაფრით ველარ გაასწორებენ... იაპონელებმა გაიგეს, რომ ვიტტეს სრული რწმუნება ჰქონდა მიცემული, აიღეს-დაიღეს, კარგად მოიფიქრეს, მეორე დღეს გამოაცხადეს, ჩვენ ეგეთი სრული რწმუნება არა გვაქვს და ყველაფერზე ჩვენს მთავრობასა და იმპერატორს უნდა დავეკითხოთ ხოლმეო და ვიტტეს იაპონურ ენაზე დაწერილი თავიანთ იმპერატორისაგან მიცემული ინსტრუქცია ჩააბარეს. ამნაირად ბარონმა კომურამ განგებ მოლაპარაკება ტოკიოში გადაიტანა და რუსეთი მთელის ქვეყნიერობის თვალში იმავ ყოფაში ჩავარდა, რა ყოფაშიაც ჩინეთი იყო 1895 წელს იაპონიასთან შერიგების დროს.. ამის შემდეგ იაპონელები გაბატონდნენ კონფერენციაში და დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით: რუსეთის წარმომადგენელი პროფესორი მარტენსი სხდომის ზალიდან გაიყვანეს.. ამის შემდეგ კომურამ „მოთხოვნის" სახელით იაპონიის პირობა გადასცა, ვიტტეც ზეზე ადგა და ისე ჩაიბარა ეს პირობა. თუ საქმე ასე წავიდა, ძნელი გამოსაცნობი არაა, თუ ვინ აჯობებს ამ მოლაპარაკებაში. („ს.").

ახალი კანონი

დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ უმაღლესად დამტკიცებულ იქნა და გამოცხადდა კანონი სახელმწიფო სათათბიროს დაწესების შესახებ. 18 თებერვლის რესკრიპტით სენატისადმი რუსეთის ქვეშევრდომებს ექვსის თვის წინად ეცნობათ მთავრობის განზრახვა საკანონმდებლო მუშაობისთვის ხალხისაგან არჩეულ, მის ნდობით შეჭურვილ წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. ეხლა ეს განზრახულება კანონად გადაიქცა და სახელმწიფო სათათბირო ის დაწესებულებაა, რომელიც ხალხის წარმომადგენელთა მოქმედების ორგანოდ არის აღიარებული.

სახელმწიფო სათბირო, მანიფესტის სიტყვით, ახალი საკანონმდებლო დაწესებულებაა, რომელიც უკვე არსებულს დაწესებულებებს უნდა მიემატოს. რუსეთში, იმპერატორ პეტრე დიდის დროიდან, ხელმწიფე ერთად ერთი წყაროა ყოველისავე ბრძანებლობისა და უფლებისა, კანონმდებლობა, ადმინისტრატიული გამგებლობა და სამართალი ყველგან მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელით და ბრძანებით სწარმოებს. მრავალი ბიუროკრატიული დაწესებულება, რომლებიც ახლანდელმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიზანში ამოიღო, ჩაჰხი-

თანდათან დაშორდა სამეფო ტახტს და აი, ახალი კანონი იმ განზრახვით არის გამოცემული, რომ აღდგენილ იქმნას კავშირი რუსეთის მეფისა და ხალხის შუა.

კანონმდებლობის ასპარეზზე მოქმედებისთვის ხელმწიფე იმპერატორის დასახმარებლად დღემდე რუსეთში წინასწარი მუშაობა დავალებული ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა კომიტეტს და მინისტრებს; ეხლა ამავე წინასწარ მუშაობისთვის დაწესებულია სახელმწიფო სათათბირო. ისტორიამ დაანახვა ქვეყანას, რომ კანონიერების დაცვა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ყოვლად შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე კანონმდებლობა სრულიად გამოცალკევებული არ არის საადმინისტრაციო მოღვაწეობისაგან. სახელმწიფო საბჭომ, რომელიც განსაკუთრებით საკანონმდებლო მოქმედებისთვის იქმნა დაარსებული რუსეთში, ვერ განახორციელა ცხოვრებაში კანონიერების პრინციპი. მინისტრები, როგორც უმაღლესი წარმომადგენელნი საადმინისტრაციო ბრძანებლობისა, ადვილად უქცევდნენ გვერდს სახელმწიფო საბჭოს, თავისი განზრახულებანი სახელმწიფო საბჭოში არ შეჰქონდათ წინასწარ შესამუშავებლად და განსახილველად, ამ განზრახულებათა შესახებ პირდაპირ მოახსენებდნენ ხოლმე ხელმწიფეს; ასევე იქცეოდა მინისტრთა კომიტეტი. უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრის მოხსენებით ან მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით ხშირად სრულიად ახალი წესი შედიოდა ცხოვრებაში, რადგან ამ დადგენილებებს სწორედ ისეთივე სავალდებულო ძალა ჰქონდათ, როგორიც უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრს. ამ გვარად, საადმინისტრაციო განკარგულება და კანონი ერთი ერთმანეთში აირია და კანონიერების ნაცვლად დამყარდა თვითნებობა. 12 დეკემბრის უმაღლესის ბრძანების სიტყვით, კანონიერების დაცვა და განმტკიცება სახელმწიფო საქმეთა შორის უპირველეს საჭიროებას შეადგენს.

ახალი დაწესებულება, სახელმწიფო სათათბირო, 6 აგვისტოს დამტკიცებულ კანონის ძალით, იმავ საქმეებს განაგებს, რომელნიც სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას შეადგენენ . . . . სახელმწიფო სათათბირო, როგორც ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენელთაგან შემდგარი დაწესებულება, უეჭველია შეძლებისამებრ მუდამ წინააღმდეგობას გაუწევს ადმინისტრაციის თვითნებობას, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ სიტყვიერი თუ იქნება, რადგან სათათბიროს საკუთარი უფლება არა აქვს, [illegible] სიტყვის თქმისა და თათბირისა: სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებანი ჯერ სახელმწიფო საბჭომ უნდა მოიწონოს და მხოლოდ შემდეგ წარედგინებიან იმპერატორს ან დასამტკიცებლად, ან უარსაყოფელად. რომ ვთქვათ, სახელმწიფო სათათბირო ვერაფერს სამსახურს ვერ გაუწევს კანონიერების განხორციელების საქმესო, ეს მართალი არ იქნება, ამ მხრივ სახელმწიფო სათათბიროს აუცილებლად ექნება მნიშვნელობა, მაგრამ მეტად მცირე, ოდნავ დასანახავი . . .

სახელმწიფო სათათბიროს წევრნი, ახალის კანონის ძალით, უნდა არჩეულ იქმნენ ორკეც და სამკეც არჩევნების წესით. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ქონებრივი ცენზი, რომელიც სოფლელებისთვის 15.000 მანეთის შეძლებით გამოიხატება და ქალაქელებისთვის 1.500 მან. შეძლებით . . .

სახელმწიფო სათათბიროში დიდი უმრავლესობა წევრებისა ბურჟუაზიის და მსხვილ მემამულეების წარმომადგენლები იქნება, მშრომელ ხალხის წარმომადგენელი კი მეტად ცოტა ან სულაც არ იქნება.

მოკლეთ რომ მოვჭრათ სიტყვა, სახელმწიფო სათათბიროს წევრები, შეძლებულ კლასსების წარმომადგენლები მარტოოდენ იმ უფლებით იქნებიან შემოსილი, რომელიც ყოველს უფლებრივს სახელმწიფოში აუცილებლად ყველა მოქალაქეს ეკუთვნის, განურჩევლად იმისა არჩეულ იქნება იგი ვისგანმე პარლამენტის წევრად, თუ არა. ეს უფლება გამოიხატება ორის სიტყვით— კრების თავისუფლება . . .

სახელმწიფო სათათბიროს წევრებსაც ნება ეძლევათ თავისუფლად ილაპარაკონ, კანონის ფარგალში, თავის კრებებზე და შემდეგ აქ ნალაპარაკევის ზნეობრივ მნიშვნელობაზე მიაგდონ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაზე გავლენის მოხდენა. სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ერთად ერთი ის თვალსაჩინო განსხვავებაა, რომ სხვაგან კრების გამართვა ყოველს მოქალაქეს შეუძლიან, ჩვენში-კი ამისთვის წინადვე არჩეულ უნდა იყოს ადამიანი მდიდარ ხალხისაგან.

სახელმწიფო სათათბირო უფრო კრების თავისუფლების მონოპოლიაა რამდენისამე წარმომადგენლისათვის, ვიდრე პარლამენტი ან საკანონმდებლო კრებული.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ეგრედ წოდებული განაპირა ქვეყნები და მათ შორის კავკასიაც იმ მიზეზებით, რომლებიც გამოცხადებული არ არ არიან, ჯერ-ჯერობით სახელმწიფო სათათბიროსათვის წარმომადგენლებს არ აირჩევენ . . .

გ. რ.

ახალი წესწყობილება

ჯერ კიდევ მოსკოვის ხანაში შესდგა ის უცნაური აზრი, რომ რუსეთი წარმოადგენს განსაკუთრებულ თავისებურ სახელმწიფოს, რომ რუსეთი და მისი ერი ძირითადად განირჩევიან „დამპალ დასავლეთის" ერებისაგან. ეს აზრი შეესისხლხორცდა მმართველთა ცნობიერებას, რადგან იგი საფუძველს აძლევდა მათ განუსაზღვრელს ბატონობას, მით უმეტეს, რომ ამ ახალ რწმენას ეგრედ წოდებულმა სლავიანოფილებმა მოუპოვეს ფილოსოფიური საფუძველი და გაამართლეს ამრიგად ძალთა მყოფთა ბატონობის უფლება.

მაგრამ დასაბუთებამ საქმეს ვერ უშველა. ცხოვრებამ უმოწყალო სიმკაცრით დაამტკიცა „სიცრუე" იმისი, ვინც სხვას უკიჟინებდა სიდამპლეს. სევასტოპოლის კამპანიამ ნათელ ჰყო სიყალბე ზემოხსენებულ აზრისა და აიძულა რუსეთი გაკვეთილი აეღო დაგმობილ დასავლეთისაგან. სამწუხაროდ, ყალბ რწმენას ისე მაგრად მოეკიდა ფეხი, ისე შესისხლხორცებული იყო მოწინავე კლასების ცნობიერებასთან, რომ ერთბაშად გაშორება საძნელო საქმე იყო და დასავლეთის გაკვეთილმა არსებითი ნაყოფი არ მოუტანა რუსეთს.

მას შემდეგ აგერ გადის თითქმის ნახევარი საუკუნე. რუსეთი ხელ-ახლად ჩავარდა განსაცდელში, უფრო უარესში, ვიდრე იყო სევასტოპოლის ბრძოლის დროს: რუსეთი ჩაება განათლებულ იაპონიასთან ომში. ამ ომმა ცხადზედ უცხადესად დაამტკიცა სრული უვარგისობა იმ წესწყობილებისა, რომელიც აშენებულია რუსეთის თავისებურობის არაკზედ. პატარა იაპონიამ, რომელსაც, ეჭვი არ არის, არა ნაკლებ რუსეთისა, აქვს განსაკუთრებული თავისებურობა, შეითვისა „დამპალ დასავლეთის" კულტურა და სახელმწიფო მმართველობა და ძლევამოსილი წინ მიდის. იაპონიის მაგალითმა ცხად ჰყო „დამპალ დასავლეთის" წესწყობილების უპირატესობა და უვარგისობა რუსეთისა . . .

რუსეთის ცხოვრების მოსაწესრიგებლად ფუძნდება ახალი ორგანო, ხალხის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, იმ აზრით, რომ დაუახლოვოს ხალხი მეფეს, დაანგრიოს შუა კედელი, რომელიც ეხლა ამართულია მეფისა და ხალხის შუა ბიუროკრატიის სახით. ამისთანა ორგანო არც ერთ დასავლეთის სახელმწიფოში არ არსებობს, ვერ იპოვით ამგვარს ოკეანეს იქით სახელმწიფოებშიაც და მართლაც „თავისებურია". ვინ იტყვის, რომ დასავლეთის პოლიტიკური აზრი იდეალურია, რომ სახელმწიფომ უთუოდ უნდა იხელმძღვანელოს დაწინაურებულ სახელმწიფოების გამოცდილებით, ბრმად მისდიოს უკან, ყურადღება არ მიაქციოს თავის განსაკუთრებულ ხასიათს და ისტორიულად შექმნილ პირობებს. ძველის ნანგრევებზე შენდება ახალი ცხოვრება და უეჭველია შეუძლებელია ძირიანად აღმოფხვრა უცბად იმისი, რაც ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას შეუქმნია, მაგრამ განა შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ყოველმა სახელმწიფომ უთუოდ „თავისებური" პოლიტიკური წეს-წყობილება უნდა შეიმუშაოს, რადგან სხვისაგან გადმოღებულს ნიადაგი არ ექნება.

სწორედ ამ აზრს ადგანან ზოგიერთნი ბრძენნი და გვარწმუნებენ, რომ რუსეთმა უნდა და შეუძლიან კიდეც შეიმუშაოს თავისებური პოლიტიკური წეს-წყობილება, რომელიც უფრო შეუთანხმდება რუსეთის ხალხის განსაკუთრებულ თვისებებს, ვიდრე დასავლეთის პოლიტიკური ფორმები. „ჩვენ გვგონია, ამბობს ბელადი სლავიანოფილების ეპიგონებისა, ბ-ნი შიპოვი, რომ საჭიროა არსებულ წეს-წყობილების შეცვლა კი არა, არამედ დაშორება იმისი, რაც ამ წეს-წყობილებას ჰქმნიდა უვარგისად. უვარგისად-კი ჰქმნიდა განცალკევება მეფისა და ხალხისა; მეფის ყურებამდის არ აღწევდა ხალხის ხმა, ვსთქვათ გულ-წრფელად, ბიუროკრატია საზღვრავდა თვითმპყრობელის მეფის ძალას. ამის მიხედვით სასურველია, რომ განახლებულ რუსეთში ხელუხლებლად დარჩეს თვითმპყრობელ მეფის ძალა ერთის მხრივ და თავისუფლად გზა გაეხსნას მეფესთან ხალხის ხმას იმის წარმომადგენლების მეოხებით, მეორეს მხრივ. ამ რიგად დარწმუნებულნი ვართ, რომ საჭიროა მართლა მხოლოდ ის რეფორმა, რომელიც გამოცხადდა ტახტიდან 18 თებერვლის რესკრიპტში. ღრმად გვწამს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დაურღვეველ მკვიდრ კავშირს აწმყოისას ისტორიულ წარსულთან, როგორც თავდებს მომავალში ცვლილებათა მკვიდრობის და შეურყევლობისას".

ამ ძირითად რწმენის მიხედვით ბ-ნი შიპოვი და მისი თანამოაზრენი წინააღმდეგობას უწევენ იმ პოლიტიკურ სწავლას, რომელმაც შეიერთა უმეტესი ნაწილი რუსეთის შეგნებულ საზოგადოებისა. ეს სწავლა არის სწავლა კონსტიტუციის მომხრეთა, რომელნიც ამბობენ, რომ „რუსეთმა უნდა გადააბიჯოს ისტორიულად შემუშავებულ წესწყობილებას და გადავიდეს დასავლეთში არსებულზედ—პარლამენტარულზედ. უმთავრეს საქმეს აწინდელ დროისას შეადგენს ამორჩევა უკვე მზა ფორმებიდან საუკეთესოსი". რუსეთის თავისებურების მომხრენი არ ეთანხმებიან კონსტიტუციონალისტების აზრს და ამბობენ: „ამ პარტიის აზრი დამყარებულია, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ორ შემცდარ დებულებაზედ. 1. მას ჰგონია უტყუარად, რომ პოლიტიკური შემოქმედება კაცობრიობისა ჩაჰქრა და ამიტომ თუ გვსურს თავიდან მოვიშოროთ გაბატონებული ბიუროკრატიული წეს-წყობილება, უნდა მივიღოთ ძალა უნებურად კონსტიტუციონალური დასავლეთ ევროპის ყალიბისა, თითქოს უკვე დამტკიცებულია, რომ პოლიტიკური შემოქმედება პათავდა და არაფერი, დასავლეთ ევროპის პარლამენტარიზმის მეტი, არ შეუძლიან არც ერთს ერს შეჰქმნას თავისთვის; 2. მას ჰგონია, რომ რუსეთის წარსულის და აწმყოს პირობანი არ შეიცავენ ისეთ ძირითად განსხვავებას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების წარსულ და აწმყო ცხოვრების პირობებთან შედარებით, რომელნიც დაგვაბრკოლებდნენ და ხელს შეგვიშლიდნენ გადმოვიტანოთ ჩვენში დასავლეთ-ევროპაში შემუშავებული პოლიტიკური ფორმები". კონსტიტუციონალისტების დებულებანი ბ-ნ შიპოვს და მის მომხრეთ მიაჩნიათ უსაფუძვლოდ და ამიტომ ჰქმნიან „თავისებურ", რუსეთის ბუნებასთან ვითომ შეთანხმებულ პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელიც, მათ ჰგონიათ, დაიხსნის განსაცდელისაგან და დააყენებს პროგრესსის გზაზე. მაგრამ ჯერ კიდევ „მოსკ. ვედომ."-სა, ამ თვითმპყრობელობის დაუფარავ მოტრფიალეს, არ ეპაზნიკა ახალ სლავიანოფილების „პოლიტიკური შემოქმედება" და გულახდილად აღიარა „თვითმპყრობელობა, ზედამხედველობის ქვეშ მყოფად . . . .

შ. ჩიტაძე

ახალი ამბავი

◆ გუშინ ქალაქში ხმა დადიოდა, რომ გორის მაზრის სოფელ ნიჩბისში შეტაკება მომხდარა, რომლის დროსაც **რამდენიმე გლეხი მომკვდარა და დაჭრილათ.** ამბობენ აგრეთვე, რომ დასჭრეს სოფ. ავლევის მემამულე თავ. ნიკ. ამირეჯიბიო.

◆ **კახეთიდან სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ.** სოფ. გრემში, რომელიც თელავიდან 25 ვერსზეა, მიწის მზომელი ჩასულა სამუშაოდ, მაგრამ გლეხებს ნება არ მიუციათ მუშაობისა. დაუბარებიათ ბოქაული და ყაზახ-რუსები, მაგრამ მიწის-მზომელი მუშაობას მაინც ვერ შესდგომია. ყველა ამისი შედეგი ის ყოფილა, რომ ოთხი გლეხი მოკლული აღმოჩენილა და ათი დაჭრილი. ბოქაულისთვის ძალზე უცემიათ. საკვირველი ის არის, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში თითქმის არსად არ მიიღეს მიწის მზომელნი, მაგრამ ამის და მიუხედავად სისხლი ზემოხსენებულ სოფელ გრემის გარდა არსად არ დაღვრილა.

◆ როგორც დუშეთის მაზრიდან გვატყობინებენ, მეოთხედის მიცემაზე **გლეხები ყველგან უარს ამბობენ.** ამ ბოლო დროს მაზრაში დიდი წვიმები მოსულა, რასაც ძალიან გაუფუჭებია ქერნახული.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ სამიოდე კვირის წინად დაითხოვეს ტფილისის **საქონლის სადგურის მუშები,** რიცხვით ორას კაცამდე. იმათ ადგილზე მოიყვანეს ბათუმიდან სონები, რომელთაც ორიოდე დღე იმუშავეს, მაგრამ როცა შეიტყეს მუშათა დათხოვნის მიზეზი, მაშინვე ანგარიში გასწმინდეს და მუშაობას თავი დაანებეს. დარჩა სადგური უმუშაოდ. ერთხანს ამუშავეს სალდათები, ბოლოს იძულებულნი გახდნენ მიემართნათ ისევ ძველის მუშებისათვის. ესენი მოიწვიეს და თითქმის ერთი კვირა მუშაობდნენ. მაგრამ ნახევარზე მეტი მუშა ადგილზე არ მიუწვევიათ და ოთხმოცდაოთხი კაცი აკეთებდა ორას კაცის საქმეს, ჯამაგირი კი იგივე ეძლეოდა. ყველა ამან გამოიწვია მუშათა გაფიცვა, რომელიც 1 აგვისტოს დაიწყო. გაფიცულთა მოთხოვნილებები შემდეგია: რვა საათის სამუშაო დღე; კვირაობით მუშაობა მოისპოს; ოციდან ოცდარვა ივნისამდე გაფიცვის გამო დათხოვნილ მუშებისა და ყარაულების მიღება; მიღება და დათხოვნა მუშებისა და ყ რაულებისა უნდა იყოს მუშებისა და ყ რაულების ხელში; მიეცეს მუშებს სახლ შეშა და ნავთი; დაენიშნოთ ჯამაგირი მანეთი თვიურად; უფასო წამლობა ჯა გირით; ოთხი უფასო ბილეთი წლიურა წელიწადში ერთი თვით განთავისუფლე ჯამაგირით; მიეცეთ გაფიცვის დროს კუთ ნილი ჯამაგირი სრულად.

◆ **როგორც სოფელ ხოვლედან** (ქარ ლი) გვწერენ, ასე ყოფილა იქ მომხდარ ამბები. 30 ივლისს ღამე მისულა ბოქაულ ყაზახებით და შეუპყრია თავიანთ ბინ ქიტესა ჯანანაშვილი, ბაკონა პაიჭაშვილი, დათა პაიჭაშვილი, გიგო კობაძე, მიხა კო ბაძე და ილიკო გიორგაშვილი და ყველან ხიდის თავში გაუყვანიათ. 1 აგვისტოს დილის ექვსი საათი იქნებოდა, რომ სო ფელში ერთი ალიაქოთი ასტყდა: ოც ხუთი შეიარაღებული კაცი მივიდა გიგ ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილთან და უბრ ძანა იარაღის გამოტანა. იარაღი მისც მაგრამ შეიარაღებულნი ამას არ დასჯერდ ნენ, დაუძახეს თვითონ მასპინძელს, გამო დი ალექსანდრე ჯავახიშვილო, წინ გაგვი ძეხი და იარაღი მოგვიკრიფეო. წაიმძღვა რეს იგი, წავიდნენ გიგო იოსების ძე ჯა ვახიშვილთან და იქაც მოითხოვეს იარაღი, მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ დაუშინეს თო ფები და მილეწ-მოლეწეს კარმიდამო. თუ ცა ჯავახიშვილის სახლიდანაც ესროლეს, მაგრამ ვერავინ დასჭრეს. ამ სროლის დრო ტყვია მოჰხვდა და მოკვდა მ. შარვაშიძ მოურავი მიხეილ გოგიჩაშვილი. ამ დროს მო ვიდა ექიმი მაღალაშვილი და გამოუტან რამდენიმე თოფი და რევოლვერი. შემდეგ შეიარაღებულნი მივიდნენ შერვაშიძისას, ალექსანდრე ჯავახიშვილისას, ქაიხოსრო ჯავახიშვილისას, დათიკო ჯავახიშვილისას, პლატონ და რაჟდენ ჯავახიშვილებთან და ყველას გამოართვეს იარაღი და გზას გაუდ გნენ. რამდენისამე საათის შემდეგ აქ ამო ვიდა ლრ გუნის პოლკის რაზმი, მაგრამ მე ორე დღეს, 2 აგვისტოს, დილით უკანვე დაბრუნდნენ. საღამოზე ამოვიდა ქვეით ჯარი ას სამოცი კაცი და დაბანაკდა თავ. ვეზირიშვილის სახლში. 4 აგვისტოს ნა შუადღევს ამოვიდა გენერალი თ. ავ. ამილა ხვარი, დაიბარა ხალხი და უთხრა რატომ არავინ დაიჭირეთო. შემდეგ გამოუცხადა: როგორც გიძლევიათ მეოთხედები, ისევ ისე აძლიეთ და წაუღეთ ბატონებსაო.

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ გაუგზავნა ამიერ-კავკასიის **გუბერნატორებს მოწერილობანი** და თანაც აცნობა ნამესტნიკის საბჭოს მოხსენება ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ. ნამესტნიკს დაუმტკიცებია ინსტრუქციები ადგილობრივ წარმომადგენელთა მოწვევის და კრების გამართვის შესახებ და დაუვალებია გუბერნატორებისთვის განკარგულება მოახდინონ, რომ არჩეულ იქნან წარმომადგენლები და დაინიშნოს დრო და ადგილი კრების გასამართავად

◆ შარშან კავკასიის ადმინისტრაციამ შეუდგენია პროექტი **ამიერ-კავკასიაში გლეხთა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ.** პროექტი გაუგზავნიათ სამინისტროში და ეხლა იქიდან ნამესტნიკს მისვლია თავის აზრის გამოსათქმელად. როგორც „კავ." გადმოგვცემს, ნამესტნიკს ამ საგნის დაწვრილებით გამოსარკვევად დაუნიშნავს განსაკუთრებული კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არის ნამესტნიკის საბჭოს წევრი ჯუნკოვსკი, წევრებად—კანცელარიის დირექტორი პეტერსონი და ვეიდენბაუმი. თავმჯდომარე ადგილობრივ მოივლის და შეჰკრებს ცნობებს. ჯერ-ჯერობით იგი ერევნის გუბერნიაში წავა.

ფელეტონი

სიკვდილით სასჯელი

ი. ლეშჩისა

(თარგმანი)

სიკვდილით სასჯელი მოქალაქის სიცოცხლის მოსპობაა, სისხლის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით. უწინდელ დროში ამ უმძიმესს სასჯელს ისე ხშირად მიმართავდნენ ხოლმე, რომ საოცრებაა იგი; ამ სასჯელს ნორმალურ სასჯელად სთვლიდნენ და ამით სჯიდნენ ისეთ დანაშაულობისათვის, რაც ამ ჩვენს დროში სულ მცირე დანაშაულობად ითვლება. ძველი იურისტები—თეორეტიკები და პრაქტიკები— სიკვდილით დასჯას ისე უყურებდნენ, როგორც უბრალოდ სასარგებლო სასჯელს. მე-XVII საუკუნის შესანიშნავი მსწავლული და მოსამართლე ბენედიქტ კარპცოვი, ეს უჩვეულებრივ შრომის მოყვარე და კეთილ-სინდისიანი კაცი, იმით ამაყობდა, რომ 20 ათასი კაცისათვის იმის თანამონაწილეობით მიესაჯნათ სიკვდილი.

შორეული ჩანასახი სიკვდილით სასჯელის დაგმობისა ქრისტეს მოძღვრებაშია და იმის მცნების მიმდევარმა ეკკლესიამაც საქვეყნოდ აღიარა პრინციპი: ecclesia abhorret sanguinem. მაგრამ ეს პრინციპი არას უშლიდა კათოლიკეთა ცნობილ სასულიერო წოდებას, რომ სიკვდილით სასჯელი ხშირად ქმნარა: სასულიერო სასამართლო გადაუწყვეტდა ხოლმე სასჯელს დამნაშავეს, [illegible] გამოცხადებასა და ასრულებას მთავრობის კაცებს მიანდობდნენ.

საშუალო საუკუნოების ქრისტეს სჯულის სხვა და სხვა გვარად აღმსარებელნი ხან და ხან ხმა მაღლადაც წინააღმდეგობას აცხადებდნენ ხოლმე სიკვდილით დასჯაზე. სისხლის სამართლის მეცნიერებაში სიკვდილით დასჯის შესახებ რეაქცია დაიწყო მხოლოდ მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ბეკკარია ცეზარმა შესანიშნავი თხზულება დასწერა „დანაშაულობათა და სასჯელთა შესახებ" და დაამტკიცა, რომ საზოგადოებისათვის სრულებით არ არის საჭირო სიკვდილით დასჯა. პირველ ხანებში ბეკკარიას ასეთი მცნება ბევრს იურისტს მიუტევებელ დანაშაულად მიაჩნდა, მაგრამ იმის წიგნი რომ გამოვიდა ამ საგნის შესახებ, ამის შემდეგ სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობდა. ამ ბოლოს დროს იტალიის საანტროპოლოგიო სკოლამ (გაროფალომ) მხარი დაუჭირა სიკვდილით დასჯას მხოლოდ იმათთვის, რომელნიც, ეგრედ წოდებულ, დაბადებითვე შესისხლ-ხორცებული დამნაშავენი არიან, მაგრამ ამ ცდას არც პრაქტიკული და არც ოდნავ საყურადღებო თეორიული მნიშვნელობა არ მოჰყოლია. რუს იურისტთა შორის არც ერთი მსწავლული არ მოიპოვება, რომ ერთიანად გამსჭვალული არ იყოს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

სიკვდილით დასჯა არ აკმაყოფილებს იმ იურიდიულ მოთხოვნილებათ, რომელნიც სასჯელმა უნდა დააკმაყოფილოს: იგი არ არის [illegible] დელი, იმიტომ რომ სამუდამოდ იტაცებს ოჯახის მშრომელს წევრს და მამე წყევა-კრულვით თავს ატეხება დასჯილის მახლობელთ; არც დანანება შეიძლება იმისი, ე. ი. არ შეიძლება იმდენად ცვალებადი იყოს იგი, რომ შეესაბამოს დანაშაულობის ხარისხის [illegible] სხვადასხვაობას; უბრალოდ შეუძლებელია აუნაზღაურებელ სამაგიერო, ე. ი. დასჯილის სიცოცხლის დაბრუნება შეუძლებელია. მარტო ეს უკანასკნელი თვისებაც კმარა, რომ სიკვდილით დასჯა შეუძლებელ სასჯელად ჩავთვალოთ იმიტომ რომ, რა გინდ კარგად იყოს მოწყობილი, ადამიანის მიერ განსამართლებას არ შეიძლება შეცდომა არ მოჰყვეს. ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის იმისა, რომ სრულიად უდანაშაულო დასჯიათ და ეს გარემოება მხოლოდ შემდეგში აღმოჩენილა. საკმაო მოვიგონოთ ვოლტერის ანგარიში, სადაც იგი ამბობს, რომ ევროპაში 100 ათას კაცზე მეტია სიკვდილით დასჯილი კუდიანებსა თუ ეშმაკებთან დამოკიდებულებისათვის და სხვა ამგვ. უდანაშაულოდ საპყრობილეში მრავალ წელს ნამყოფი შეიძლება კიდევ დააკმაყოფილოს რითიმე სახელმწიფომ, თუნდაც იმით, რომ საქვეყნოდ გამოაცხადებს, ეს ადამიანი დამნაშავე არ არის და სასამართლოს შეცდომის მსხვერპლად გახდაო—შეიძლება ფულითაც დაასაჩუქროს, მაგრამ სიკვდილით დასჯილის დაჯილდოვება, ცხადია, შეუძლებელია.

სიკვდილით დასჯის მომხრეთ შემდეგი საბუთები მოჰყავთ: 1. სიკვდილით დასჯა ერთ-[illegible] ახალის დანაშაულობის ჩადენისაგან; 2. იგი შიშს ჰბადავს და 3. დანაშაულობისათვის ერთად-ერთი სამართლიანი სასჯელი სიკვდილი არისო. ძნელი არაა, რომ ყველა ეს მოსაზრებანი სრულიად უვარგისად ვიცნოთ.

1. საზოგადოებას ხსნას მარტო სიკვდილით დასჯა არ აძლევს, იმიტომ რომ საპყრობილის მაგარი კედლები და კლიტეებიც სავსებით აშორებენ დამნაშავეს. თუმცა აგებულ საპყრობილიდან გაქცევა-კი საძნელოა და, შედარებით იშვიათიც, გაქცევას ამასთან კარგად დაწყობილი პოლიცია დაუყოვნებლივ იჭერს გაქცეულ დამნაშავეს. თუ არც რიგიანად მოწყობილი პოლიცია, არც საუკეთესოდ გამართული საპყრობილე, ამისი ბრალი თვით საზოგადოებას ედება. სწორედ სამართლიანად აღნიშნავს მიტერმაიერი, რომ თუ მხეცების სადგომების და ზოოლოგიურ ბაღების მოწყობა-შენახვას ისე ახერხებს საზოგადოება, რომ არ ემინოს მხეცების გაქცევისა, როგორ შეიძლება საზოგადოებამ თავი ვერ დაიცვას საპყრობილიდან დამნაშავეთა გამოქცევისაგან? სიკვდილით დასჯა უნდა მარტო მკვლელებისა და პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, ე. ი. იმისთანა საქმისათვის, რომლის განმეორებით ჩამდენნი (რეციდივისტი) ყველაზე უფრო ნაკლებია. ამ საბუთის მომხრეთა მსჯელობით, მაშ ქურდი-რეციდივისტიც უნდა სიკვდილით დასაჯონ.

საზოგადოების ზრუნვის საუკეთესოდ სრულიად საკმარისია დიდის ხნით დაპატიმრება, [illegible] ტანჯვისაგან დაურდომელი მოხელე ვერ შესძლებს საზოგადოების წეს-წყობილების დარღვევას. სიკვდილით დასჯის საჭიროება შესაძლებელია ჩანსთვალეთ ამ ძველ, ჩვენგან შორეულ დროში, როცა სახელმწიფო მთავრობა ჯერ კიდევ სუსტი იყო და დამნაშავენიც ამ ხანებში მარტო საშიში ელემენტები იყვნენ, რომელნიც სახელმწიფოს ებრძოდა, თუმცა ხანდახან ვერც ამარცხებდა იმათზე.

2. სიკვდილით სასჯელი, რასაკვირველია, აშინებს კაცს, მაგრამ აშინებს აგრეთვე სხვა გვარი სასჯელიც. ადამიანს აშინებს არა მძიმე სასჯელი, არამედ იმის აუცილებლობა. მრავალი ისტორიული საბუთები გვაქვს იმის დამამტკიცებელი, რომ ხშირად სიკვდილით სასჯელი არა თუ არ აშინებს ადამიანს, მხოლოდ საზიზღარ შთაბეჭდილების მოხდენის ხალხზე, მასსაზე. 18/6 წლის მანძილში, ერთის კაცის-მკვლელის მოხრჩობის დროს, ეშაფოტის გარს შემოხვეულ ხალხში მკვლელობა მოხდა. ანგლიაში, სადაც მსაჯულნი სულ მცირე ქურდობისათვის სახრჩობელს მიუსჯიდნენ ხოლმე დამნაშავეთ, სულ მხიარულად ამართულ ეშაფოტთან, ხალხში, ჯიბგირები დანავარდობდნენ და უმოწყალოდ აცლიდნენ ჯიბიდან ყველაფერს, ვისაც რას მოახელთებდნენ. პრისტონელი მღვდელი რობერტსი არწმუნებს, რომ 167 კაციდან, რომელთაც ის მოუძღვებოდა სახრჩობელასაკენ, 161 კაცმა აღიარა, რომ დამნაშავეთა ხამოხრჩობას დასწრებიან. სისხლის სამართლის სტატისტიკა ჰმოწმობს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებით არ

ეროვნული

◆ [illegible] აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, **ქუთაისში ბულვარზე მოუკლავთ** ყაბარდინის პოლკის პოდპოლკოვნიკი ხოდეცკი. მკვლელს მოსეირნე ხოდეცკისთვის ორჯელ რევოლვერი უსროლია და იქვე მოუკლავს. როგორც ამბობენ, ხოდეცკის კარგა ხანია თურმე ემუქრებოდნენ.

◆ ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას დაუდგენია, „ივერიის“ სიტყვით, **ბლაღოჩინების ნაცვლად ყველა** საქმე პირდაპირ მღვდლებს დაევალოს ხოლმე.

◆ გენერალი თავ. ი. ს. ჭავჭავაძე, სხვათა შორის, ბორჩალოს მაზრაშიაც გაჰგზავნეს **გლეხთა მოძრაობის დასამშვიდებლად**. ზემო ბორჩალოს მცხოვრებნი მაშავერის ხეობიდან წაიყვანეს გერმანელთა ახალშენს ეკატერინოფელდში. ბევრმა სოფლის მცხოვრებმა შესჩივლა თავ. ჭავჭავაძეს, რომ ჩვენ სანდოლო გლეხები ვართ და დღემდე ნადელებს კი არ გვაძლევენ ბატონები. ამას გარდა ზოგიერთი სოფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზემო ბორჩალო მთიანი ადგილია, ყაჩაღთა ბრბოები ხშირად დაგვთარეშობენ, ჩვენ კი წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ უიარაღობისა გამო. მცხოვრებთ ითხოვეს იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა.

◆ როგორც გორის მაზრის სოფელ ერთაწმინდიდან გვატყობინებენ, ადგილობრივი **მემამულენი და გლეხები შეთანხმებულან ღალის შესახებ**. გლეხები გადაიხდიან ერთ მეექვსედს. აზ. ჯავრიშვილებს უარი უთქვამთ ამაზე, რის გამოც გლეხებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ მათთვის და მოსამსახურენი ჩამოუცლიათ.

◆ როგორც შუშის მაზრის სოფ. ალჯაშიდან გვწერენ, იქ დიდი მითქმა-მოთქმაა თურმე. ამბობენ, მთებში უკვე მოხდა **შეტაკება თათრებსა და სომხებს შორისო**.

◆ გუშინ ვწერდით, რომ ქართლში **აფიცერს ხატაურს თავს დაეცნენო**. როგორც გავიგეთ, აფიცერი გვარად ხეთაგური ყოფილა და არა ხატაური. წაურთმევიათ რევოლვერი, ხოლო ფულისთვის ხელი არ უხლიათ.

◆ მკითხველმა უკვე იცის, რომ ბათუმელმა ქართველმა მაჰმადიანმა სანჯაკ-ბეგ აბაშიძემ შუამდგომლობა აღძრა **თათრულ ენაზე გაზეთის გამოცემის შესახებ**. ამ გაზეთში, რომელსაც სახელი „ტუღუუ“ ერქმევა, წერილები ქართულადაც იქნება გადმობეჭდილი.

◆ 7 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ ქვემო-ჭალაში **მოუკლავთ ადგილობრივი მამასახლისი**. ეჭვი მიიტანეს ალექსი თავშავაძეზე.

◆ პირველ ოქტომბრიდან მელიქ-კარაკოზოვის რედაქტორობით ტფილისში გამოვა **სომხური ყოველ დღიური გაზეთი „არშალუისი“**. გაზეთი კარგა მოზრდილის ტანისა იქნება და ეღირება წელიწადში 7 მანეთად.

◆ პროექტი ტფილისში განზრახულ **საფონდო და სავაჭრო ბირჟისა** ვაჭართა მამასახლისმა უკვე წარუდგინა სამინისტროს დასამტკიცებლად.

◆ **სრულიად სომეხთა კათალიკოზი** დღეს, 10 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე, აპირებს ეჩმიაძინში გამგზავრებას.

◆ კავკას. **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი** გუშინ-წინ, 8 აგვისტოს, პეტერბურგს წავიდა სამსახურის საქმეებისა გამო.

◆ როგორც შევიტყეთ, **ელიზაბეთში ახალგაზდობის ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს** შეადგინონ „სცენის მოყვარეთა ამხანაგობა“. ამ ამხანაგობის წევრი იქნება ყველა, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ვინც ყოველწლიურად სამ მანეთს გადაიხდის. წარმოდგენები იქნება სახალხო და იაფ-ფასიანი. ამხანაგობასვე განზრახვა აქვს უფასო სამკითხველოც დააარსოს ელიზაბეთში. უკვე ადგენენ წესდებას და მალე დასამტკიცებლად იქნება წარდგენილი.

◆ 16 აგვისტოს კავკასიის სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრების გიორგი ბასილაიასი, რომელსაც პოლიტიკური მოსაზრებით კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

◆ ბორჩალოს მაზრის მაშავრის ხეობიდან გვატყობინებენ, თავ. გ. ქობულაშვილის მამულში მცხოვრები ქართველები, სომხები და მაჰმადიანები მორიგებიან მემამულეს ღალის გადახდის თაობაზე. 100 ძნაზე უნდა გადიხადონ 2 კოდი პური.

◆ 8 აგვისტოს მუხრანის ქუჩაზე პოლიციელმა ნახა დაჭრილი ტფ. მცხოვრები გეურქ სარქისოვი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა. პოლიციელმა სარქისოვი ეტლით მიხეილის სამკურნალოში გაგზავნა. სარქისოვი გზაზე გარდაიცვალა. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ სარქისოვი ამ საღამოს ვასილ ამინოვსა და ვლადიმერ დავიდოვთან ქეიფობდა. ერთმა მათგანმა პოლიციის დანახვაზედ ბებუთის დამალვაც მოინდომა. ორივე ბრალდებულად იცნეს და გამომძიებელს გადასცეს.

ამას წინად მიხეილ ზეითუნიძემ დასჭრა ავსეევი და ყაზარინი და სადღაც გადაიმალა. პოლიციას ზეითუნიძე უკვე დაუპატიმრებია და გამომძიებელისათვის გადაუცია.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის მესაათებისა და მებრილიანტეების შეგირდებმა და ქარგლებმა წარუდგინეს უფროსებს მოთხოვნილებანი მათის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. შეგირდები, სხვათა შორის, თხოულობენ: მოისპოს ბავშვების 14 წლამდის შეგირდად აყვანა; შეგირდობის ვადა განისაზღვროს სამის წლით; შეგირდებს არა ხდებოდეთ ხელობის სასწავლო ფული; ოსტატებს ნება არ უნდა ჰქონდეთ შეგირდები ოჯახში იმსახურონ; საქმე დღით შეგირდები სახელოსნოში უნდა იქმნენ მხოლოდ იმდენხანს, რამდენსაც დაწესებული იქნება საზოგადოდ მთელს ქალაქში, შემდეგ კი მეორე დღემდის უნდა თავისუფალი იქმნენ; კვირა-უქმე დღეებში, როდესაც სახელოსნოები დაკეტილია, შეგირდები მთელის დღით უნდა თავისუფალნი იყვნენ და სხვ. ქარგლები თხოულობენ:

შემოკლდეს სამუშაო დრო 10 საათამდის: 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდის დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდის; 1 სექტემბრიდან 1 აპრილამდის—დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის. ამ ათი საათიდანაც ერთი საათი (12-დან 1-დის) უნდა გადაიდოს სადილისათვის; უნდა მომატებულ იქმნას სამუშაო ქირა ამგვარად: ვინც თვეში 5—10 მანეთს იღებს, უნდა მოემატოს ჯამაგირის 70%; ვინც 10—20 მანეთს—50%; ვინც 20—30 მანეთს—40%; ვინც 30—40 მანეთს—30%; ვინც 40—50 მანეთს—25%; ვინც 60 მანეთს—20% და სხ.; დაწესდეს ქირის მიღება ყოველ კვირის ბოლოს; ვისაც ერთი წელიწადი უმსახურნია, ნება მიეცეს ორი კვირის თავისუფლებით ისარგებლოს წელიწადში ერთხელ და ჯამაგირიც შეუნახოს და სხვ.

შენიშვნები ქართულის თეატრისა და სცენის შესახებ

გამგეობა და რეჟისორობა

„სცენის მოღვაწე, ყველა თავის თავის ფარგალში, მოვალეა გამოიღოს რაც შეიძლება მეტი—maximum — ცოდნა-შეგნება და რაც შეიძლება მეტი უნარი შრომა-ეცადინეობისა; რა თქმა უნდა, მაგისათვის ყოველი მუშაკი აუცილებლად და შესაფერისად დაჯილდოებულიც უნდა იყოს“... ამას გვეუბნება თეატრის ერთი საუკეთესო მოღვაწე და ცნობილი რეჟისორი ანტუანი საკუთარის „თავისუფლის თეატრის“ პატრონი.

საქმეს თუ ღრმად ჩაუკვირდებით, თეატრის კეთილდღეობა, მისი ზრდა და წინსვლა და გამარჯვება მჭიდროდ არის დამოკიდებული ორივე მხრის შეერთებულ ენერგიისაგან—შეგნებული გარჯისაგან. ეს ორი მხარე არის—საქმის პატრონი-გამგებელი (კაპიტალი) და სცენის მოღვაწენი რეჟისორითურთ (შრომა). თეატრის პატრონ-გამგებელს შეაქვს რა საქმეში კაპიტალი, იგი ბუნებითად ხელმძღვანელი და გამგებელია საქმის ეკონომიურის მხარისა; ეს გარემოება, ესე იგი გაბედვა—рискъ საქმის პატრონ-გამგებელს აძლევს დიდს უპირატესობას და ბევრს უფლებას ყველა სცენის მოღვაწეთა დაფასებასა და მოხმარებაში.

ეკონომიური მხარე ყოველს საქმეში და ნამეტნავად თეატრისაში დიახაც დიდ მნიშვნელოვანია—იგი ნამდვილი nervus rerum-ია—ბურჯი და საძირკველია რომელზედაც ჰყარდება და შენდება ყოველივე სიკეთე თუ ნაკლი, ყოველივე სარგო თუ ზიანი. ჩვენის თეატრის განვითარებას და გაფართოვებას ისე არაფერი უშლიდა ხელს, როგორც ეკონომიური მოუწყობლობა და უსახსრობა, რომელსაც, თუმცა დაუჯერებელია, ყოველთვის ნაკლებ აქცევდნენ ყურადღებას როგორც თვით საქმის გამგებელნი, ისე სცენის მუშაკნი და აკი კიდეც ოცდახუთი წლის განმავლობაში ქართულის თეატრის პატრონობა და გამგებლობა წაჯიქ-უკუჯიქობას ჰგავნდა.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრსა და განსაკუთრებით სცენის კეთილდღეობაში რეჟისორობას. რეჟისორი მთავარი წინამძღოლია სცენის მოღვაწეთა და მათის ძალ ღონის მეუფე და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ რეჟისორისაგან ითხოვენ ცოდნა-განათლების სერიოზ განვითარებას, ინტელიგენტობას, და ზედ მიწევნით შესწავლას არა თუ თავის ეროვნულ მწერლობისას, არამედ მსოფლიო დრამატურღის და კრიტიკას. ამისთანა რეჟისორი ადვილად შესძლებს ყოველ დრამატიულ ნაწარმოების მეტ-ნაკლებობის გამოკვლევას და შეფასებას; მხოლოდ განვითარებული რეჟისორი შესძლებს, რომ მსახიობთა კრებული ძმურსა და ერთგულ მუშაობაზე წააქეზოს და წაასხას უმაღლეს ხელოვნების საჩვენებლად სცენაზე.

რეჟისორი ერთსა და იმავე დროს უფროსიც არის და ამხანაგიც მსახიობთა კრებულში, იგი primus inter pares. ესე იგი პირველი სწორთა შორის. რეჟისორი მოვალეა მსახიობთა ნაკლი დაჩრდილოს, ხოლო ღირსება გამოამზეოს; მის ფიქრსა და ზრუნვას უნდა შეადგენდეს საერთო საქმე, მწყობრივი გამარჯვება და არა პიროვნება ამა თუ იმ მსახიობისა, სიმპატია თუ ანტიპატია ამა თუ იმ მსახიობ ქალისა თუ ვაჟისადმი. სწორედ ასეთის თვისებით არიან დაფასებულნი და პატივცემულნი ცნობილნი რეჟისორები კლარესი, ანტუანი, კრონეკი, ბოკი და რუსეთში სტანისლავსკი და კარპოვი. ამათ მადლიანის ხელიდან ხშირად სრულებით სუსტ მასალიდან გამოსულა საუცხოვო და იშვიათად მხატვრული წარმოდგენები, რომელთა ძალა და ელვარება დაფუძნებულა ხოლმე მხოლოდ ანსამბლზე.

კარგის რეჟისორის თვალში მსახიობი ყურ მოჭრილი მონა-კი არ არის, არამედ შემოქმედებითი ძალა, რომელიც „საქმესა ჰქმნის“. განვითარებული რეჟისორი უმნიშვნელო როლის მოთამაშე მსახიობსაც ისე გამოაჩენს, როგორც პირველ როლის მოთამაშესაც, სცენის მძიმე და რთული საქმე ძლიერ ემსგავსება რომელსამე რთულს მანქანას, სადაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს მოძრაობის დროს დიდს ბორბალს თუ პაწია ბურღს, უზარ-მაზარ ხრახნილს თუ მცირე დაკბილულ ლურსმანს. უამ მცირე ბურღით მანქანა ვერ იმოძრავებს, „საქმე ვერ გაკეთდება“... ასეთი რეჟისორი აუცილებლად აგრძნობინებს და შთააგონებს ყოველ მსახიობს, განურჩევლად მისის ნიჭისა თუ ღირსებისა, რომ ისიც აუცილებელი და სასარგებლოა საერთო საქმეში, რომ პატარაც დიდია თავის ადგილზე ანსამბლში...

მეტად ბევრი ბრალი მიუძღვით ჩვენებურს რეჟისორებს ქართულ სცენისა და ხელოვნებისადმი... ჩვენებურს რეჟისორს უწინარეს ყოვლისა თავისი თავი შეუცდომელ ბატონად მიაჩნდა და სწორედ ფუქსავატ შეგნებიდან იწყებოდა ყოველივე სივაგლახე ჩვენს სცენაზე. ასეთი რეჟისორები თავდაპირველად იმას ცდილობდნენ, რომ თვალების ბრიალით, კბილების კრაჭუნით და ყვირილ-ღრიალით თავისი ბრძანებლობა განემტკიცებინათ და თან მსახიობნი ეძლოგმათ—ესე იგი მსახიობთა „შემოქმედებითი მე“ გაექარწყლებინათ და ამის მაგიერ დაეკანონებინათ, ვითომდა ავტორიტეტი, ჭირვეულობა.

რა თქმა უნდა, ასეთ რეჟისორების ხელში მსახიობნი დღიურ მუშებს, ხელოსნებს ჰგავნდნენ და არა მსახიობთ, თავისუფალ ხელოვნების მოღვაწეთ. განა ჩვენებური რეჟისორი მსახიობს ნებას მისცემდა, რომ მას თავისუფლად ამოესუნთქა, თავისი საკუთარი აზრი და შეხედულება ჰქონიყო? უტყვნი და პირი წყლით სავსე მსახიობნი რეჟისორების იდეალს შეადგენდნენ. ხშირი ყოფილა ისეთი მაგალითებიც, როდესაც რეჟისორებს თვით არ სცოდნიათ პიესის არა თუ ხასიათი და მეტ-ნაკლებობა, არამედ შინაარსიც, მაგრამ მაინც თავზრუს არ იტეხდნენ, ბრძანებლობდნენ... „აი აქ დადექი, აქეთ მობრუნდი, აქ ჩამოჯექ“ და სხვა ამისთანა მარგალიტები რეჟისორულის მეცნიერებისა ხშირი ყოფილა ჩვენს სცენაზე...

ეს კიდევ არაფერი. ზოგჯერ რეჟისორები და ბოლოს მსახიობნი იმ უკიდურესს უგეცობამდე მისულან, რომ საკუთარის ასე „მემარჯვება“ და ასე „მეხერხეობისათვის“ პიესებიც დაუმახინჯებიათ შემოკლებით და დამატებით, ხოლო დანარჩენი უტყვი მსახიობნი ყირამალა უტრიალებიათ... რა თქმა უნდა, ასეთ უკულმართობაში ადგილი არ ექმნებოდა არც სოლიდარობას, არც ერთგულ ძმურს მუშაობას, ხოლო „ანსამბლი“ ბოლოს მსახიობთა გარშემო ფერხულის შემოვლას ნიშნავდა... ხელოვნებას, თავისუფალ და ფაქიზ ხელოვნებას არ წყალობდნენ ჩვენი რეჟისორები და, სამწუხაროდ, „ასეთი ყოფა“ კარგა დიდ ხანს სუფევდა ჩვენს სცენაზე და აკი ცუდი ნაყოფიც გამოიღო...

ისე ცუდი არაფერი არ არის, როგორც უფლების ჩაგდება უკულტურო და განუვითარებელის ხელში. რეჟისორმა გადაჭრით უნდა იცოდეს, სად თავდება მისი უფლება მომზადებისა და სად იწყება მსახიობის შემოქმედებითი მუშაობა. ჩვენს სცენაზე ეს ორი უფლება—თავი და ბოლო—მუდამ არეული იყო. ძველებურმა რეჟისორობამ თავისი დრო მოჭამა, იგი უარყოფილია თვით ცხოვრებისაგან. რეჟისორის უნარი და მოვალეობაც იმით უნდა გამოიხატოს, რომ მან შეუერთოს და შეუდუღოს თავისი ცოდნა მსახიობთა ნიჭსა და უნარს და თავისუფალ ძალ-დაუტანებელ სოლიდარობაში მოიპოვოს თავისი ძალა ეროვნულ ხელოვნების განვითარებისათვის.

ძველი მწიგნობარი

ახალი ზომები კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა

სახალხო სკოლებში სასწავლო საქმის გასაუმჯობესებლად ოლქის მზრუნველს განუზრახავს ზოგიერთი ახალ ზომების მიღება. რაითაც სასურველია ჩაჰბარდეს ახალს სკოლების ინსპექტორებს, რომელთაც იციან ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის ენა. თუ რომელიმე ინსპექტორმა არ იცის ზედმიწევნით ადგილობრივი ენა, საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეს მის შესწავლას. თუ ამისთვის საჭირო იქნება ხარჯი, მზრუნველი ჰპირდება დაუყოვნებლივ იშოვოს. მზრუნველი ავალებს ინსპექტორებს რევიზიების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გავლილ მასალის რაოდენობას, სამშობლო ენის სწავლების მეთოდებს და სხვ. რადგან ზოგიერთ ინსპექტორს არ შეუძლიან იცოდეს ყოველი ადგილობრივი ენა რაიონისა, საჭიროა რევიზიის დროს თან გაიყოლიოს გამოცდილი მასწავლებელი, რომელიც ხელს შეუწყობს პირველ დაწყებითი სწავლის [illegible] დაყენების საქმეში.

ინსპექტორებმა ყოველისავე შემთხვევაში უნდა ისარგებლონ და მიიწვიონ ხოლმე საზოგადოების წევრები მათთან ერთად სკოლის კეთილდღეობისათვის სათათბიროდ. ყოველივე შენიშვნა საზოგადოების წევრებისა, რომელიც ეხება სამშობლო ან რუსულ ენის სწავლებას, უნდა მოტანილ იქმნეს სარევიზიო ანგარიშში, რათა მზრუნველმა თავის დროზედ მიიღოს სათანადო ზომები.

საჭიროა ზომების მიღება მასწავლებლების, რომელთაც ადგილობრივი ენა იციან, მომზადებისათვის. ყოველი ზომა უნდა იქმნას მიღებული, რომ თვითო სკოლაში იყოს ორი მასწავლებელი და ყოველს დიდს ცენტრში ორკლასიანი სკოლა. ამისთვის საჭირო იქნება ხარჯი. ამიტომ სასურველია ეხლავე წარმოუდგინონ დირექტორებმა საგუბერნიო მთავრობას თავისი მოსაზრებანი იმ საჭიროებათა შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას საერობო თანხიდანაც. სახალხო სკოლის კეთილდღეობას ხელს შეუწყობს სკოლებთან სამზრუნველოების დაარსება. სამზრუნველო, შემდგარი საზოგადოების მიერ ამორჩეულ პირებისაგან, პირდაპირ დაინტერესებული სკოლის კეთილდღეობაში, დაეხმარება მთავრობას სკოლის საქმის მტკიცე ნიადაგზედ დაყენებასა და მის განვითარების საქმეში, აცხადებს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი.

რუსეთის ქრონიკა

წიგნთა გამომცემელ საზოგადოების შევიწროება. სმოლენსკის გუბერნატორის [illegible] თანახმად, შინაგან საქმეთა [illegible]რის ამხანაგს, რომელიც საპოლიციო გა[illegible]დებსაც განაგებს, ნახევარის წლით დაუხურავს წიგნთა გამომცემელი საზოგადოება ვითომ და მავნე მიმართულება—მოქმედებისათვის. („რ. ს.“).

დიდი არეულობა მიტავის მაზრაში. 26 ივლისიდან მიტავის მაზრის გრაუნგოფის, ჭოფტუმბერგის, ფოკკენგოფის, ნოვო აუცეს, ტამბერნისა და შანკენგოფის მამულებში ნამდვილი რევოლუციაა თურმე. ამ მამულებს პატრონები და მოიჯარადრენი გარბიან, რომ თავს უშველონ. ხალხი ტყეებს უკიდებს ძნებსა და ანადგურებს შენობებს, ათასი სული იდება მონაწილეობას არეულობაში. ჭოფტუმბერგში ჯარისკაცთა და რევოლუციონერთა შორის ხანგრძლივი ბრძოლა ამტყდარა. ანნენბურგის სამრევლოში გაძლიერებულ [illegible] სამეფო სურათები, სამსახურში გამოწვეულ ჯარის-კაცთა სიები და ქაღალდები და სოფლის სასამართლოს საქმეები. ჯარი გაიგზავნა აჯანყებულ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. (ნ. გ.).

პროფესიონალური ჟურნალი. 24 ივლისს გამოვიდა ახალის რედაქციით ჟურნალი „ვესტნი

თუ არ მატულობს დანაშაულობათა რიცხვი, ზოგჯერ კიდევაც კლებულობს. არავითარი საბუთი არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ სიკვდილით დასჯის შემოღებამ სადმე შეამციროს დანაშაულობა. მონტესკიე ამტკიცებს, რომ სიკვდილით სასჯელის დრო სასტიკ ველურ დანაშაულობათა დროც იყო. სიკვდილით სასჯელს გამრყვნელი გავლენა აქვს საზოგადოებაზე. საზიზღარი სურათი იურიდიულ მკვლელობის მხეცურ, პირუტყვულ ინსტინქტს აღვიძებს ადამიანში და წასაბაძად იწვევს. საფრანგეთში, ტერორის მეფობის დროს, ბავშვები თავს იმით ირთობდნენ, რომ კატებს ყელებს სწყვეტდნენ და ფრინველებს თავს ჰკვეთდნენ. ბევრ ადგილას, სადაც სიკვდილით სასჯელი ხმარებაშია, მტკიცე [illegible], რომ დასჯილის ძვალით, ან [illegible] შესაძლებელია სიკვდილისაგან თავი დაიფაროს დამნაშავემ, ამით ეს დანაშაულობის ჩადენის გა[illegible] სცდილობს, რომ ან ერთი ან მეორე ამათგანი იშოვოს.

თანამედროვე კანონმდებლობამ საჯაროდ დამნაშავის ჩამოხრჩობა მავნებლად იცნო და ამიტომ გადასწყვიტა სასპატიმროს ზღუდეთა შორის ხდებოდეს ეს, მაგრამ ამით მხოლოდ მცირდება და არ კი ისპობა ეს მავნებლობა. ასაბუთებენ ხოლმე, რომ სიკვდილით სასჯელი ზოგიერთ დანაშაულობისათვის ღირსეული სასჯელია, და ამ „ზოგიერთ დანაშაულობათა“ შორის, ჩვეულებრივად, გულისხმობენ მკვლელობას [illegible] დანაშაულს. სიკვდილით დასჯის მომხრენი ამას ემყარებიან, რომ სისხლი სისხლს ითხოვსო. ასეთი მართლ-მსაჯულება დაფუძნებულია ძველი აღთქმის პრინციპზე „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“. მკვლელობასა და სიკვდილით სასჯელს შორის სრულიადაც არ არის ის თანასწორობა, რისთვისაც ზრუნავენ. მეტადრე პირთა დაკვირვებით, ადამიანის ბუნების ღრმად მცოდნე კაცთა აზრით—სასიკვდილოდ განმზადებული დამნაშავე ისეთს აუწერელს ტანჯვას გრძნობს, რასაც იმისი მსხვერპლი ვერ განიცდის. „მკვლელობისათვის მოკვლა — ამბობს დოსტოევსკი,—შეუდარებლად უფრო მეტი სასჯელია, ვიდრე თვით დანაშაული“. მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯას ურჩევენ და იმას კი ივიწყებენ, რომ არ არის ორი მკვლელობა ერთი მეორის თანასწორი. ჩვენს კანონმდებლობაში მკვლელობისათვის რა აგვარი სასჯელია დაწესებული; კანონმდებლობა, რომელიც საქმეს მკვლელის სიკვდილით დასჯას, შესძლებს არა ერთის, არამედ სხვა და სხვა სასჯელს [illegible]. როცა დამნაშავეს სიკვდილს აპატიებენ, სხვა [illegible] სხვა სასჯელს მიაკუთვნებენ. ამტკიცებენ, [illegible] სიკვდილი ერთად ერთი სამართლიანი სასჯელია [illegible] გადახდისა და [illegible] ის, რომ თვით ხალხისაც სამართლიანობის გრძნობა ითხოვს ამას. [illegible] უნდა გვეფიქრა, სიკვდილით დასჯის მომხრენი ტოლსა სწამებენ ხალხს. [illegible] დაფრიდანა სჩანს, რომ ასეთი სასჯელი ხალხს ეზიზღება. ნაფიცი მსაჯულნი როცა [illegible]ბდნენ, რომ დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მოელოდა, ხშირად სრულიად ამართლებდნენ იმას, ან არა და შეუმსუბუქებდნენ სასჯელს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მოწმეს ცრუ ფიცი უთქვამს ჩვენების მიცემაზე, რადგან იცოდა, რომ ამ დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მოელოდა. ჯალათებთან ხალხის დამოკიდებულებაც ახასიათებს, თუ როგორ უყურებს ხალხი სიკვდილით დასჯას. უწინდელ დროში, როცა ზნეობა საშინლად ტლანქი იყო და არა ფაქიზი, ჯალათის თანამდებობა საპატიოდ ითვლებოდა, ჯალათი „დიდ საქმეთა“ მცოდნედ იწოდებოდა. ახლა-კი ჯალათი შიშსა და ზიზღს ჰგვრის ხალხს, იგი განდევნილია და იმისთვის უფრო საძნელოა პატიოსან ხალხში გარევა, ვიდრე დამნაშავისათვის. ვაჭრები ჯერ ამბობენ მიჰყიდონ ჯალათს ჭამა-სასმელი, იმის ფული საშინელს ზიზღსა ჰგვრის ხოლმე იმათ; ხალხი ისე უყურებს ამ ფულს, როგორც დანთხეულ სისხლის სასყიდელს; ხალხს სწამს, რომ ჯალათის ფულზე სისხლის წვეთებია დაწნეული,—და თუ როგორმე მოხდება, რომ უნდა მიიღოს ეს დაწყევლილი ფული, განზე გადაგდებს, ემანდ ბედნიერება არა მიადგეს-რა იმისგან. ცამბოვრელ გლეხებს ეზიზღებათ ჯალათის პური მიაწოდონ, ან სუფრაზე დაისვან. იმის ხელის მოკარება წაბილწვად ითვლება. გერმანიაში ჩვეულებად იყო, როცა სიკვდილით დასასჯელს ქალიშვილს აპატიებდნენ ამ სასჯელს, თუ ვინმე გამოჩნდებოდა და შეირთავდა. ერთხელ,—ამბობს [illegible].—ჯალათი თანხმობდა [illegible] შეერთო სახრჩობელაზე ასული და საშინელ ტანჯვის მომლოდინე ქალიშვილი, მაგრამ ქალმა ჯალათის ცოლობას წამებით სიკვდილი არჩია.

რუსეთში არასოდეს არ შეიძლებოდა ზნეობაშეუბღალავთა წრეში ეპოვნათ ჯალათი და მოუხედავად იმისა, რომ ამ ხელობას დიდი მოგება ჰქონდა, მხოლოდ დიდ და მძიმე დანაშაულში ჩავარდნილნი იტვირთებდნენ ხოლმე ამ მოვალეობას. როდესაც ხალხი თავისუფლად გამოსთქვამს თავის აზრს, იგი წინააღმდეგია სიკვდილით დასჯისა. 1848 წ. გერმანიის ხალხის წარმომადგენლებმა ფრანკფურტის პარლამენტში განაჩინეს, სიკვდილით დასჯა გაუქმდესო. და ამას თხოულობდნენ, როგორც ერთს ძირითად უფლებას თავის ხალხისას. დიდი უმრავლესობა გერმანიის რეიხსტაგისა 1871 წელს წინააღმდეგი იყო ამ სასჯელისა, მაგრამ ბისმარკი დაემუქრა, [illegible] გავიტან ჩემს პროექტსაო, და მით შეშინებულმა რეიხსტაგმა აღარ გააუქმა სიკვდილით სასჯელი, რადგან ბისმარკის პროექტი სისხლის სამართლის კოდექსს შეეხებოდა და დიდად საჭირო იყო გერმანიისათვის. თვით სასტიკ სასჯელის მომხრეთაც-კი ხმა აღიმაღლეს სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგ: 1830 წელს ინგლისის 1000 ბანკირმა პარლამენტში პეტიცია შეიტანა და მოითხოვა, რომ სიკვდილით აღარ დაესაჯნათ ისინი, ვინც ბანკის ყალბ ბილეთებს აკეთებდა.

სიკვდილით დასჯა ორ-გვარია: უბრალო და კვალიფიცირებული. კვალიფიცირებული სიკვდილით [illegible] ეწოდება, როცა ჰკლავენ რაიმე წამებით, რასაც ხორციელი ტანჯვა ახლავს, ანა და სამარცხვინო რამ წესი. უბრალო სიკვდილით დასჯა-კი ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა და თოფით დახვრეტაა. წამებით სიკვდილი იმდენნაირია, რომ ძნელია იმის ჩამოთვლა. ამათში ითვლება ბორბალზე გაბმა, ოთხად გაკვეთა, ცოცხლად მიწაში დამარხვა, პირში გამდნარ ტყვიის ან სხვა რამ ლითონის ჩასხმა და სხვა ამგვარი. მაგრა ფანტაზია ადამიანის შემომქმედ გენიისა არ იღლებოდა, რომ ახალ-ახალი წამებანი შეეთხზა ბედკრულ ადამიანისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ უწინდელ დროის იუსტიცია მდიდარი წყარო იყო, რომლის შემწეობითაც ხალხი თავისს აზრს ადგენდა ჯოჯოხეთზე. ზოგიერთს სიკვდილით სასჯელს ეროვნული თავისებურობაც აქვს და აქ ისახება იმ ბუნების ხასიათი, სადაც პოეზია ცოცხლობს: მაგალითად, ძველი დროის ებრაელებს, რომელნიც ქვიან ადგილზე ცხოვრობდნენ, წესად ჰქონდათ ქვით ჩაექოლათ დამნაშავე; ბერძნები, როგორც მთიან ადგილების შვილნი, კლდიდან ხრამში გადასჩეხდნენ ხოლმე სასიკვდილოს. წამების წესი რიგი სცდილობდა დაემდაბლებინა დამნაშავე; დაასვენებდნენ იმას სამარცხვინო ბოძთან, სახეზე ნერწყვს აყრიდნენ, მიწაზე თრევით მიჰყავდნენ სახრჩობელასთან, ქალებს ატიტვლებდნენ. [illegible] და ზნე-გარყვნილთა ბრბო მხიარულად ეკიდებოდა მახლობლის გათახსირებას,—მაგრამ მოხდებოდა ხოლმე ისიც, რომ მდუმარედ მდგომ ხალხიდან სამარცხვინო ბოძთან ყვავილები სცვივოდა...

განდეგილი

(დასასრული იქნება)

ვესტნიკ"-ი. ეს ჟურნალი იმითია საყურადღებო და სიმპატიური, რომ სტამბების მუშათა გამოცემაა. ჟურნალის გამგეთა მთელი ჯგუფი, რედაქტორ-გამომცემლის მეთაურობა ხელმძღვანელობით, შესდგება ბეჭდვითი საქმის მუშა მოღვაწეთაგან. („რ. ს.").

სასოფლო გაზეთი. პეტერბურგს ამ მოკლე დროში გამოვა ახალი ყოველდღიური იაფფასიანი გაზეთი, სახელად „ვოსკრესენიე". გაზეთი განსაკუთრებით სოფლის გლეხთა და მუშა ხალხთათვის გამოიცემა. განზრახულია ამის მსგავსივე მეორე გაზეთის, სახელად „დრუგ ნაროდა"-ს გამოცემა. საზოგადოდ რამდენიმე შუამდგომლობაა თურმე აღძრული მთელ რიგ იაფ-ფასიან ჟურნალ-გაზეთების გამოცემის შესახებ. („რ. ვ.").

პატენტი ველოსიპედზე. მიტავიდან აუწყებენ „რ. ს."-ს, რომ ხშირად აგიტატორები ველოსიპედებით დადიან სოფლიდან სოფლად და უქადაგებენ ხალხსაო. რადგან ველოსიპედების შემწეობით აგიტატორები ჩქარა ასწრობენ ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლას და მდევნელთაგან შეუმჩნეველნი რჩებიან, ამიტომ გუბერნატორს სავალდებულო დადგენილება გამოუცია, რომ ყველა ველოსიპედის პატრონს პოლიციის ნებართვა ჰქონდეს თავის ფოტოგრაფიულის სურათით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება. („რ. ს.").

ლოთობის შედეგი ხალხსა და სალდათებს შორის. ვლადივოსტოკში ამ ბოლო დროს ისე თურმე გახშირებულა სისხლის სამართლის საქმეები და სალდათების მხრივ „წესიერების დარღვევა" ლოთობისა გამო, რომ იქაურ კომენდანტს ყაზარმებს განკარგულება მოუხდენია, მაგარ სასმელების გაყიდვა სრულებით მოისპოსო. („ს. ო.").

გრაფ ლ. ტოლსტოის მიმდევარნი. „პეტ. გაზეტა"-ს შეუტყვია სარწმუნო წყაროებიდან, რომ როდესაც უწ. სინოდის დადგენილებით გრ. ტოლსტოი გარიცხულ იქმნა მართლ-მადიდებელ ეკკლესიიდან, სინოდში 3000 თხოვნა შესულა. ამათ უცნობებიათ სინოდისთვის, ჩვენც გამოგვრიცხეთ, რადგან გრაფ ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარნი ვართო. („რ. ვ.").

მონასტრების ახალი რეფორმა. „პეტ. გაზეტა" გვაცნობებს, რომ უწ. სინოდს განზრახვა აქვს რუსეთის მონასტრებში რეფორმა მოახდინოს. განზრახულია, ყველა მონასტრებში დაარსონ საზოგადო საცხოვრებელი, სავსებით უზრუნველ ჰყონ ბერები ბინით, ჩაცმა-დახურვით და ჭამა-სმით. („რ. ს.").

ლოძის პირველ დაწყებით სკოლების [illegible]ლებლებს შეეკითხნიათ ამ სკოლების [illegible]ისთვის, შემოვიღოთ თუ არა მომავალ [illegible] წლიდან პოლონურ ენაზე სწავლება, [illegible]სად დამტკიცებულ მინისტრთა კო[illegible] აზრის თანხმადაო. დირექციას უპა[illegible], რომ ჯერ ამის შესახებ არავითარი განკარგულება არა ყოფილა ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მხრივაო. („რ. ს.").

სასოფლო გაზეთები. ბახმუტის საერობო საბჭოს განუზრახავს სასოფლო გაზეთის გამოცემა, რადგანაც ხალხში დიდი მოთხოვნილებაა თურმე ამგვარ გაზეთებისა. საბჭოს შეუმუშავებია პროგრამა და დაურიგებია გლეხებისათვის გაზეთის მიმართულების გასაცნობად. (რ. ს.).

დიდი ყრილობა ხალხისა. ამ დღეებში ჰელსინგფორსში მომხდარა ხალხის ყრილობა, რომელსაც დასწრებია 20 ათასი კაცი. ბევრი ფინლიანდიის სხვა და სხვა ადგილებიდან ყოფილა მოსული. („ს. ო.").

„პოტემკინის" მატროსთა ცოლ-შვილი. 29 ივლისს რუმინიაში მისულან „პოტემკინის" მატროსების ცოლები და შვილები. დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით მოუხერხებიათ იმათ საზღვარზე გადასვლა. რუმინიის მთავრობას დაუყონებლივ გაუგზავნია ისინი თავიანთ ქმრებსა და მამებთან. („რ. გ.").

პრესსა

დღემდის რუსის მოხელეები გვიპირვებდნენ საქმეს იმ მხრით, რომ უთუოდ ჰსურდათ ქართველ ერის გაყოფა, განაწილება: ქართველები მარტო ქართლელ-კახელები არიანო, ხოლო გურული, მეგრელი და სხვა ქართველები არ არიანო. მოხელეების სტატისტიკაც იმნაირად სდგებოდა, რომ „გრუზინი" მარტო ამიერები გამოდიოდნენ. ახლა მოხელეების მაგალითს არამკითხე „მწერლებიც" აჰყვნენ. „რაზსვეტ"-ის გუშინდელ №-ში ვიღაც პ. პაგურიანი ცდილობს ეჭვი გაუღვიძოს მკითხველს და ჩააგონოს, რომ ქართველი ერი სხვა და სხვა ნაწილებისაგან შესდგება, ერთიანი არ არის. ის სწერს, ამიერ-კავკასიაში ყველა მაჰმადიანთ თათრების სახელით იხსენიებენ, მაგრამ ეს მართალი არ არისო: ლეკი სხვაა, ადერბეიჯანელი თათარი სხვაა; თათრებში დიდი განსხვავებაა, ხშირად სრულიად სხვა და სხვა მოდგმის ხალხიაო. ეს სრული სიმართლეა და ბ-ნ პაგურიანცს ამის გამო არავინ გამოედავება. მაგრამ ამის შემდეგ იგი ასე განაგრძობს:

> იგივე უნდა ვთქვა ქართველების შესახებაც: სიტყვა „ქართველი" ჯერ გამოურკვეველი მცნებაა, რადგან ეს ერი სამ ნაწილისაგან შესდგება, რომელნიც ერთმანეთს არა ჰგავან: ქართლელები, იმერლები და მეგრელები. ქართლელი მძიმეა და რუტინერი... იმერლები და მეგრლები ძალიან ნიჭიერი, მაცადინი და განათლების მოსურნე ხალხია... სომხები უფრო მთლიანი, უფრო გაერთიანებული, უფრო ერთგვარი ხალხია,—შრომის მოყვარე, ნიჭიერი და განათლების მოსიყვარულე-მოსურნე.

როგორ მოგწონს, მკითხველო, ბ-ნ პაგურიანის ჟღმოჩენა, რომ სიტყვა „ქართველი" გამოურკვეველი რაღაც მცნებაა?! ან კიდევ ის სთოცარი გარემოება, რომ ქართლელები და იმერლები ერთმანეთს არაფრით არ ჰგვანან და ერთგვარი (ОДНОРОДНЫЙ) ერი არ ყოფილან?! აი, პუბლიცისტიც და მეცნიერიც ამისთანა უნდა: ერთის კალმის მოსმით გვსპობს ქართველობას და საბუთიც ამისათვის შესანიშნავი აქვს: ქართლელი მძიმეა, იმერელი უფრო ცოცხალი და ამიტომ სხვა და სხვა ერებიაო... ამაზე სხვა არაფერი გვეთქმის იმის მეტი, რომ უმორჩილესად ვთხოვთ ბ.ბ. პაღურიანცებს თავი დაგვანებონ და თავიანთ მეცნიერულის გამოკვლევითა და გამოსარჩლებით ჩვენთვის თავს ნუ შეიწუხებენ ხოლმე...

წერილები

სოფ. ქვიშხეთი. სულ რამდენიმე დღეა, რაც გაიმართა კალოები. აქაც ერთი ალიაქოთია გლეხებსა და მემამულეთა შორის ღალის შესახებ. უწინ აქ იხდიდნენ მემამულის მიწაში ღლიურში სამ კოდს სუფთა პურს და ნადელში მეოთხედს, ამასთან გლეხს მემამულის წილი იმის სახლში უნდა მიეტანა. ეხლა ყოველივე ეს გადააგდეს გლეხებმა და ახალ გზას დაადგნენ.

მგონი არც ერთ სოფელში არ არის ამდენი ინტელიგენტი, რამდენიც ქვიშხეთშია, მაგრამ გაკეთებით არა გაუკეთებია რა. ერთი საცოდავი სკოლაა, მაგრამ იქაც მასწავლებელი ვერ გასძლებს, თუ მემამულის ყურადღებას არ დაიმსახურებს. რამე ხრიკს მოუდებენ და გუდა-ნაბადს აჰკიდებენ. სამკითხველო სულ არა ჰქონია ამოდენა სოფელს. თურმე ერთ ყიფიანს გამოუთხოვია კიდეც ნება სამკითხველოს დაარსებისათვის, მიწის შეძენაც განუზრახავს, მაგრამ რაღაც „მომხდარა ინტელიგენტთა შორის და საქმე შეფერხებულა.

აქაც არიან ათის და ასის თავები, მაგრამ ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი ათის თავები! ძალიან ცუდად იქცევიან თურმე. ამ რამდენიმე კვირის წინად აქ გაძარცვეს ხაშურიდან მომავალი ქვიშხეთის მცხოვრები გლახა ახალკაცი, წაართვეს ათი მანეთი. ამ საქმეში ბრალსა სდებენ სოფლის ერთ ამორჩეულ კაცს. თუმცა ახალკაცის შვილმა გაძარცვის ამბავი აცნობა ამორჩეულ კაცებს, მაგრამ მათ ყურიც არ შეიბერტყეს. უთხრეს: წადი ბოქაულთან იჩივლეო. მეორეც: ამ დღეებში აქ სააგარაკოდ მოსულს კესენიხის ცოლშვილს ვიღაცა მიუვარდა და ხუთი მანეთი წაართვა. [არც ამისათვის აუტკივებიათ თავი ამორჩეულ კაცებს. საკვირველია, რომ სოფელი ამას ყურადღებას არ აქცევს. უნდა ეცადოს დამნაშავენი აღმოაჩინოს და ამით ბოროტმოქმედება მოსპოს.

ტიმოთე.

—

ქობულეთი. ქობულეთის ნოქარ-შეგირდები გაიფიცნენ და თავიანთი მოთხოვნილებანი წარადგინეს. ნოქრები ითხოვენ: 1. სახელოსნოებში მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის 7 საათზედ და თავდებოდეს საღამოს 7 საათზედ; 2. შეგირდს სადილისთვის უნდა მიცეს ერთი საათით თავისუფლება; 3. კვირა-უქმე დღეებში დუქნები უნდა იღებოდეს დილის 6 საათზედ და იკეტებოდეს შუადღის 2 საათზედ. საღამოს 7 საათამდე; 4. წელიწ-დში 15 დღე თავისუფლება; 5. რიგიანი მოპყრობა და საამხანაგო სამართალი და სხვა. ამასთანავე ნოქარ-შეგირდებმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, რომ თავისუფალი დრო ტყუილად არ დაჰკარგონ, გამოიწერონ გაზ. „ცნო. ფურც." და „მოგზაური" და ეცადონ თვით განვითარებას.

ამას წინად ხმა დაჰყარეს, რომ 400 შეიარაღებულმა სომხებმა გადმოიარა და დაგვის ტყეში იმალება ბერძნების დახმარებითო. ხალხმა მაშინვე მოიარა ტყე და დარწმუნდა, რომ ეს ცოცხალი ტყუილია, რამდენისამი პირის მიერ განზრახ გავრცელებული. მთებში გახიზნული ხალხი ისევ დაბრუნდა და მუშაობას შეუდგა.

საჭიროა ადგილობრივმა მაჰმადიანებმა ყურადღება მიაქციონ ასეთ სენსაციონურ ხმებს და არ დაუჯერონ ასეთ ხმებს. ბევრსა სცდილობენ ხალხის ასაღელვებლად.

თ.—წ.

—

ს. რუისი (ქართლი). თუმცა რუისში ფერისცვალებას სტუმრად წვევა არა ყოფილა აკრძალული, მაგრამ სტუმარი მაინც თითქმის არავის სწვევია. ვაჭრებს—მხოლოდ მეწვრიმალეებს ჰქონდათ ნება ვაჭრობისა, ღვინის ურმები კი გზიდან დააბრუნეს ამორჩეულმა კაცებმა. ფერისცვალება დღეს ყველა, ვინც-კი შეკრებილიყო ეკკლესიასთან, თითქმის ფხიზელი იყო ჩვეულების წინააღმდეგ. არა ყოფილა აგრეთვე ჩვეულობრივი გართობა: ზურნადალაბანდის და არღნის დაკვრა, ცეკვა და ჭიდაობა. ერთის სიტყვით წელს დღეობას არა ჩვეულებრივი სახე ჰქონდა მიღებული. ფერისცვალების წინადამეს 5-ში ხალხი მეტად აღელვებინა ერთს ამბავს: ყველა მხრიდან გაიგონებდით მუქარას და ლანძვა-გინებას. მიზეზი შემდეგი იყო: 5-ში მზის ჩასვლისას ს. ფციდან ურმით მოჰყოლებია რუისში დღეობას ხიზანი ს. ბერუაშვილი. გზაზე წამოსწევია ორი შეიარაღებული კაცი, რომელთაც მისალმების შემდეგ მოუთხოვნიათ ვერცხლის ქამრის შეხსნა, რაზედაც ბერუაშვილს უარი განუცხადებია. უცნობებს სროლა აუტეხნიათ. შეშინებული გლეხი კამეჩებ შუა შემალულა, მაგრამ ამას ვერ უშველნია. კამეჩიც დაეჭრათ და პატრონიც. კამეჩი მეორე დღესვე მოკვდა. პატრონი კი მუცელსა და ბარძაყში მძიმედ დაჭრილი 6-ში ტფილისში ჩამოიყვანეს

რუისში სხვა სოფელთან შედარებით მშვიდობიანობაა. აქ დიდი მემამულე თითქმის არავინ არის და მამული აქ თითქმის თანასწორად არის განაწილებული გლეხთა და აზნაურთა შორის, თავადები კი არა გვყავნან. აი, ეს მშვიდობიანი სოფელი ამას წინად ააშფოთა მილიციის წევრებმა. ამ რამდენისამე კვირის წინად მწყემსებმა შერეკეს საქონელი ქაობში, რომელიც წინად, როგორც გლეხები ამბობენ, სასოფლო ყოფილა და ეხლა კი ა. მამაცაშვილს მიუჩემებია. ეს ამბავი გაიგო თუ არა პატრონმა, მაშინვე შეიარაღებული დაეცა ბავშვებს, დაუწყო-ცემა ტყეპა და თოფებით შინება. დაწიოკებული მწყემსები ტირილით აცვივდნენ სოფელში, რის გაგონებაზედაც მთელმა სოფელმა იხუვლა და თავს დაეცა მამაცაშვილს. შეშინებული მამაცაშვილი შეიკეტა ოთახში და ფანჯარაში იდგა თოფით ხელში. ხალხი მზად იყო ზედ დაენგრია ქოხი, მაგრამ დიდის ხვეწნისა და რჩევის შემდეგ ხალხი დაშოშმინდა და სახლებში დაბრუნდა, მხოლოდ გადასწყვიტეს, რომ იმის წისქვილში საფქვავი არავის მიეტანა, და კიდეც შეასრულეს. სოროდან განთავისუფლებულმა მამაცაშვილმა მაშინვე ქარელისკენ მოუსვა და იმავე დღეს ყაზახები ეწვივნენ რუისელებს, მაგრამ რაკი უსაფუძვლო იყო იმათი მოყვანა, იმავე დღეს დაბრუნდნენ.

მროველი.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის შემწეობით ვაცნობო ჩემს ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ის ხმა, რომელიც გავრცელდა ამ ბოლოს დროს მათ შორის—ვითომც მე ვეკუთვნოდე თავად-აზნაურთა მილიციას, სიმართლეს მოკლებულია.

კონსტანტინე მალალაშვილი.

II

ბატონო რედაქტორო!

24 ივლისს ქ. ნუხაში გაიმართა წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. სულ შემოვიდა 179 მან. 80 კაპ., ხარჯი იყო 78 მან. 80 კაპ. დარჩა წმინდა 100 მანეთი და 50 კაპ., რასაც ამასთანავე გიგზავნით და უმორჩილესაც გთხოვთ გადასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". *) ვალად ვრაცხ უძღვნა მადლობა სცენის სოყვარეთა და იმათ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი შრომა და აღმოაჩინეს ყოველგვარი შემწეობა წარმოდგენის გამართვისთვის.

წარმოდგენის გამგე **მიხეილ მაჭარაშვილი**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

9 აგვისტო.

ოდესა, 8 აგვისტო. სავოსპიტლო გემ „კოსტრომა"-თი აქ მოვა ადმირალი ენკვისტი.

სიტიაზა, 8 აგვისტო. მზვერავი რაზმი გორაკზე მანჩუნჩაის გზის სამხრეთით ჩაუსაფრდა, რომელზედაც დილით იაპონიის პოსტი გამოჩნდა. ჩვენებმა სროლა დაიწყეს. მოკლულია 3 იაპონელი. ჩვენ დავიჭირეთ ერთი აფიცერი და ერთი კაზაკი. სოფელ ინცზისლოს ახლო მოხალისეთ ბრძოლა ჰქონდათ ხუნხუზთა ბრბოს წინამძღვარ იმბატთან. მოჰკლეს იმბატი, ორი იაპონელი და 43 ხუნხუზი. ჩვენ დაგვიჭრეს 4 მოხალისე მსუბუქად ერთი აფიცერი მძიმედ.

ოისტერბეი, 8 აგვისტო. კანეკოს სათბირი ჰქონდა რუზველტთან.

პორტ-სმუტი, 8 აგვისტო. ვიტე უარს ამბობს, ვითომც რუზველტს წინადადება მიეცეს იმისთვის სამედიატორო სასამართლოს გადაეც სადავო საგანიო. ოქმში შეტანილი საბუთები ასეთია: სახალინის მოთხოვნას იაპონელები კუნძულის დაპყრობისთვის ეროვნულს უფლებაზე ამყარებენ. რუსთა რწმუნებით, იაპონელებს 1850 წლამდე არ განუცხადებიათ თავიანთი უფლება სახალინზე და არც დაუსახელებიათ ეს კუნძული. 1873 წლის ხელშეკრულობით აღიარებულია რუსეთის სუვერენიტეტი. მოთხოვნას ხარჯის ანაზღაურების შესახებ იაპონელები რუსეთის აგრესიულ მოქმედებით ასაბუთებენ, რადგან იძულებულგვყო თავი დაგვეფარა. მუდმივი გამარჯვება უფლებას აძლევს იაპონიას, სამხედრო საზღაური მოითხოვოს. რუსეთი თავს დამარცხებულად არა სცნობს და კონტრიბუციის გადახდას არა სთანხმდება. რუსეთის აზრით, იაპონიის მოთხოვნა უმაგალითოა. მე-10 მუხლის შესახებ რუსეთი ირწმუნება, იარაღ-აყრილ გემების დათმობა საერთაშორისო უფლებას ეწინააღმდეგებაო. იაპონია უარსჰყოფს უთანხმოებას მე-11 მუხლში. იაპონია ჰხედავს, რომ რუსეთის საზღვაო ძლიერების შეზღუდვა შორეულ-აღმოსავლეთში აუცილებელია მკვიდრ ზავის დასამყარებლად რუსეთი მტკიცედ უარ ჰყოფს ყველა მოთხოვნას, რაც იმის სახელსა და ღირსებას შეჰბღალავს და აცხადებს, რომ განზრახვა არა მაქვს, იაპონიის საზღვაო მდგომარეობას დავემუქროო. გაზეთები იუწყებიან: იაპონელები ჰფიქრობენ, რომ მიკადო არც ერთ მუხლში აღარას დაუთმობს რუსეთსაო. ხმა დადის, სხდომა სამშაბათს უკანასკნელი არ იქნებაო.

პეტერბურგი, 8 აგვისტო. სენატის მიმართ უმაღლესის ბრძანებით 5 აგვისტოდან დაარსებულია ახალი თანამდებობა გზათა მინისტრის ამხანაგისა და ამ თანამდებობაზე დაინიშნა წყალთა და გზატკეცილთა სამმართველოს უფროსი ივანიცკი.

პეტერბურგი, 8 აგვისტო. საერო განათლების სამინისტროში ჩარიცხული ბარონი რაუშ-ტრაუბენბერგი ტფილისის გუბერნატორად დაინიშნა.

პეტერბურგი. პეტერბურგში, გაზეთების სიტყვით, 9,500 კაცს ჰქონია უფლება სახელმწიფო საბჭოში შესვლისა.

სტამბოლი. ბულგარეთის სადიპლომატო აგენტმა ნაჩევიჩმა ენერგიული პროტესტი გადასცა გუშინ პორტას პოლიციის იმ ზომების შესახებ, რომელნიც მან ეხლახან იხმარა ბულგარელების შესახებ. სმირნაში აღმოჩენილმა სომხების შეთქმულობამ დიდი შიში გამოიწვია ყველგან. ამბობენ, რომ ასეთი შეთქმულობა ნაწილია დიდის შეთქმულობისა. 18 აგვისტოსათვის, როდესაც სულთანის ტახტზე ასვლის დღეა, დიდის ზომების მზადებაშია მთავრობა: ამბობენ, ილდიზ-კიოსკს ყოველ მხრიდან ბაღებს შემოავლებენ, რომელნიც დაფარავს ახლო-მახლო მდებარე უბნებსა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

9 აგვისტო

პორტსმუტი, 9 აგვისტო. არღვევენ იმ ხმებს, ვითომც ჰააგის ტრიბუნალმა უნდა გაარჩიოს ის პუნქტები, რომელშიაც შეთანხმება არ მოხერხდაო. როგორც ხმებია, კანეკოს რუზველტისათვის უცნობებია ტოკიოდან მოსული დეპეშა, რის შემდეგ რუზველტს უნახულებია რუსეთის რწმუნებულნი.

ლონდონი. არაა სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, ვითომც ინგლისი ურჩევდეს იაპონიას ზავის ჩამოგდებას და არც ის ხმა მტკიცდება, ვითომც ის აქეზებდეს მას ომის გაგრძელებაზე. კარგად გაგებულ პირების სიტყვით, ინგლისის მთავრობა ძლიერ უფრთხილდება ისეთის ნაბიჯის გადადგმას, რომელიც შეიძლება ისე გაიგონ, ვითომც იგი მონაწილეობს პოლიტიკურ კომბინაციაში. ინგლისი თითქმის კმაყოფილია კონფერენციის მიმდინარეობით, ვინაიდან რუსეთი თანახმაა მანჯურიის გაწმენდაზე, რაც ხსნის მას საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

პორტ-სმუტი. რუსების „რწმუნებულთ დეპეშა მოუვიდათ ლინევიჩისაგან, ზავს ნუ ჩამოაგდებთო.

პორტ-სმუტი. რუსეთის მისსიის ერთმა წევრმა სთქვა: „ჩვენ დიდი მადლობელი ვართ რუზველტის, მაგრამ ძნელად თუ იგი შესძლებს მაგომარეობის გაუმჯობესებას". რუსეთის მისიას დეპეშა მოუვიდა ომის ასპარეზიდან, რუსის გენერლები თხოულობენ, ნუ ჩამოაგდებთ გამოუსედაგარ ზავს, რადგანაც ჯარები დარწმუნებული არიან გამარჯვებაშიო.

ჩიკაგო. როგორც ფიქრობენ, სახალინს შეერთებულ შტატების პროტექტორატს ქვეშ დააყენებენ.

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. კონეკოს სიტყვით, სამშაბათს გამოირკვევა, ალბად, საკითხი.

ოისტერბეი. სარწმუნო ხმებით, რუზველტს მიწერ-მოწერა ჰქონდა მიკადოსთან და ახლა პეტერბურკიდან ელის დეპეშას.

ტოკიო. აქ კიდევ სწამთ ზავი.

ლონდონი. გაზეთების აზრით არავითარი შედეგი არ მოჰყვება კონფერენციას. იაპონიის მისსიის წევრმა უთხრა „ტაიმს"-ის კორესპონდენტს, ზავის შესახებ დათმობას ტოკიოს კაბინეტის დაცემა მოჰყვებაო. კამურამ შესაძლებელზე მეტი ჩაიდინა, როცა რუსეთს უთხრა, რომ მას შეუძლიან სახალინის ნახევარი გამოისყიდოს იმდენის ფულით, რაც სამხედრო ხარჯს ეთანასწორება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადა**

---

*) ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა. რედ.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ბანკის დირექტორი, დამფუძნებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე. [illegible]

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება მისცეს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობაში [illegible].

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სასწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელს: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორგვარი და საბანკო), 4) არითმეტიკა ხანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდება, 7) მშვენიერ-წერა და წერა-გასწორება (исправление дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევის ქ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეცნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების [illegible], ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მანქანაზე მუშაობას, კურსების სწავლის ყოველ დღე. (24—20)

კბილებს

[illegible] (80—59)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული [illegible] ქუჩა, სახლი № 7 [illegible] (თვ.—255—19)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო საქმეებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს. [illegible] (30—24)

«ამხ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

[illegible]

სიბრძნე ბალავარისა . . . . . — 3

ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში — 10

ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა 1 50

[illegible]

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

[illegible] (25—16)